პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 157 (9625) | კვირა, 5 ივლისი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

პარტიული მუშაკი პოლიტიკური ხელმძღვანელია — „პრავდის“ 4 ივლისის მოწინავე (1-ლი გვერდი).

საბჭოთა საქართველოს დღე (1-ლი გვერდი).

უსტ-კამენოგორსკის ჰიდროელექტროსადგური მწყობრში ჩადგა (1-ლი გვერდი).

აგიტატორის დასახმარებლად. — ხალხის კეთილდღეობა კომუნისტური პარტიის უმაღლესი კანონია (მე-2 გვერდი).

მოდის საკოლმეურნეო სოფლის გარაჟი! — **ს. ქოჩლაძე.** — ერთი დღე მინდვრის ხომალდებთან. კომბაინერთა შეჯიბრება (მე-2 გვერდი).

ხალხთა მეგობრობის დრამაში. — **ვ. ჯაყელი.** — ძვირფასი სტუმრები. რუსთავიდან. — **ს. ფეფერკა.** — ტელეგაიტელ, დამქესანელ მშენებლებს (მე-2 გვერდი).

ბ. ლეონტიევი. — საერთაშორისო [illegible] (მე-3 გვერდი).

რედაქციის ფოსტიდან. — საჭირბოროტო „წვრილმანებზე“ (მე-3 გვერდი).

„გავამრავლოთ ღონისძიებანი მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლაში“ (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-3 და მე-4 გვერდი).

თბილისი (მე-4 გვერდი).

პარტიული მუშაკი პოლიტიკური ხელმძღვანელია

„პრავდის“ 4 ივლისის მოწინავე

ჩვენი ქვეყნის განვითარების ახლანდელ ეტაპზე, როცა სახალხო მეურნეობის ყველა დარგი აღჭურვილია მოწინავე ტექნიკით, ხოლო საბჭოთა ხალხის კულტურული დონე განუზომლად გაიზარდა, ხელმძღვანელი კადრების წინაშე სულ უფრო დიდი მოთხოვნები ისახება. მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის, პარტიული და სახელმწიფო აპარატისადმი ხელმძღვანელობის საჭესთან უნდა იდგნენ კულტურული, თავისი საქმის მცოდნე ადამიანები, რომლებსაც უნარი შესწევთ ხელმძღვანელობაში შეიტანონ სიახლე, ხელი შეუწყონ ყოველივე ახალს, მოწინავეს და შემოქმედებითად განავითარონ იგი.

სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანების გადაჭრისათვის დიდი პასუხისმგებლობა აკისრიათ პარტიულ კადრებს. პარტიული კომიტეტები პოლიტიკური ხელმძღვანელობის ორგანოებია. ისინი მოწოდებული არიან დარაზმონ მასები პარტიის XIX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, პარტიის პოლიტიკის შესაბამისად წარმართონ ყველა აგდგილობრივი ორგანიზაციის მუშაობა, უზრუნველყონ მათი ურთიერთმოქმედება სახელმწიფო გეგმებისა და დავალებათა შესრულებისათვის ბრძოლაში.

აქედან გამომდინარეობს განსაკუთრებით დიდი მოთხოვნები პარტიული ხელმძღვანელებისადმი, პარტიული მუშაკებისადმი. ისინი ზედმიწევნით უნდა ერკვეოდნენ მრეწველობის, სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხებში, იდეოლოგიურ მუშაობაში, ეუფლებოდნენ პარტიული ხელმძღვანელობის სწორ მეთოდებს. თვითეული ხელმძღვანელის უპირველესი მოვალეობაა ყოველთვის და ყველაფერში ითვალისწინებდეს პარტიისა და სახელმწიფოს ინტერესებს, ყველაფერზე მაღლა აყენებდეს მათ, ამ ინტერესებს უმორჩილებდეს თავისი პრაქტიკული მოღვაწეობის ყოველ ნაბიჯს.

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მხოლოდ ისეთ ხელმძღვანელს შეუძლია იდგეს ჩვენი პარტიის ამოცანების სიმაღლეზე, რომელიც მუდამ მუშაობს თავისი იდეური დონის ამაღლებისათვის, შემოქმედებითად ეუფლება მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის დიადმოძღვრებას. კომუნისტური პარტიის ფუძემდებელი ვ. ი. ლენინი, მისი დიადი საქმის განმგრძობი ი. ბ. სტალინი მუდამ პირველხარისხოვან მნიშვნელობას ანიჭებდნენ კადრების მარქსისტულ აღზრდას. მარქსისტულ-ლენინური თეორია კადრებს აიარაღებს საზოგადოების განვითარების კანონების ცოდნით, იმის უნარით, რომ გაერკვნენ ვითარებაში, გაიგონ გარემო მოვლენათა კავშირი, განჭვრიტონ მოვლენათა მსვლელობა. ბევრი პარტიული მუშაკი წარმატებით ეუფლება მოწინავე რევოლუციურ თეორიას, იმდიდრებს ცოდნას პარტიის ისტორიული გამოცდილებით. ეს ხელს უწყობს მათ ნათლად დაინახონ ჩვენი წინსვლის მიზანი, იყვნენ პრინციპულნი ჩვენი მშენებლობის საკითხების გადაჭრისას, იბრძოლონ საუკეთესო შედეგებისათვის პრაქტიკულ მუშაობაში.

ამასთან ერთად არის ფაქტები, როცა ზოგიერთი პარტიული ხელმძღვანელი არ მუშაობს თავისი შეგნებულობის ამაღლებაზე, არ იმდიდრებს ცოდნას მარქსიზმ-ლენინიზმის დარგში, იქცევა საქმისნად, რომელსაც უნარი არა აქვს განაზოგადოს მოვლენები, გაერკვეს ვითარებაში. ასეთ ადამიანებს ალბათ არა სურთ გაიგონ, რომ ჩვენთვის საჭიროა არა დახავსებული მოხელეები ვიწრო, უწყებრივი ჰორიზონტით, არამედ დიდად შეგნებული ადამიანები, რომლებიც დაუცხრომლად იბრძვიან პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესრულებისათვის და რომლებისთვისაც პარტიის ინტერესები, სახელმწიფოს ინტერესები ყველაფერზე მაღლა დგას. ჩვენი კადრების ყოველდღიური აღზრდა შემოქმედებითი მარქსიზმის სულისკვეთებით, მათ მიერ თეორიის უნარიანი გამოყენება პრაქტიკულ საქმიანობაში სამეურნეო და კულტურული მშენებლობისადმი სწორი ხელმძღვანელობის აუცილებელი პირობაა.

პარტიული ხელმძღვანელი მოწოდებულია გვიჩვენებდეს მარქსიზმ-ლენინიზმის შემოქმედებითად დაუფლების მაგალითს. სწავლა არასოდეს არ არის დაგვიანებული. არც მუშაობით გადატვირთვა, არც თანამდებობა, არც მდგომარეობა ხელისშემშლელი არ უნდა იყოს ცოდნის შევსებაში. ბუნებრივია, რომ ვინც ჩამორჩენილია იდეურ-პოლიტიკურად, ვინც ცხოვრობს გაზეპირებული ფორმულებით და ვერ გრძნობს ახალს, მას უნარი არა აქვს სწორად გაერკვეს საშინაო და საგარეო ვითარებაში, არ შეუძლია და ღირსი არ არის სათავეში ედგეს მოძრაობას. მას ცხოვრება ადრე თუ გვიან გარიყავს.

პარტიული მასები ახლა გადიდებულ მოთხოვნებს უყენებენ ხელმძღვანელებს. ვინც ამ მოთხოვნებს ანგარიშს არ უწევს, ის ვერ სარგებლობს მასების პატივისცემით და მხარდაჭერით. თოთხმეტი წლის განმავლობაში პარტიულ საქმეს ადგილობრივი ორგანიზაციის მუშაობა, უზრუნველყონ მათი ურთიერთმოქმედება სახელმწიფო გეგმებისა და დავალებათა შესრულებისათვის ბრძოლაში.

პარტიული მასები ახლა გადიდებულ მოთხოვნებს უყენებენ ხელმძღვანელებს. ვინც ამ მოთხოვნებს ანგარიშს არ უწევს, ის ვერ სარგებლობს მასების პატივისცემით და მხარდაჭერით. თოთხმეტი წლის განმავლობაში პარტიულ საქმეს ადგილობრივი ორგანიზაციის მუშაობა იყო ამხ. ვარხაჩოვი, რომელიც უკანასკნელ წლებში პარტიის როსტოვის ოლქის ფედოროვკის რაიკომის მდივნად იყო. იგი არ მუშაობდა თავისი პოლიტიკური და ზოგადი განათლების დონის ასამაღლებლად. მას რამდენჯერმე მისცეს წინადადება შესულიყო სასწავლად საოლქო პარტიულ სკოლაში, მაგრამ უარს ამბობდა, თავისი თავი უამისოდაც მომზადებულად მიაჩნდა პარტიული მუშაობისათვის. ამის შედეგად ვარხაჩოვი ჩამორჩა პოლიტიკურად და კულტურულად, ველარ ერთმევდა თავს მისთვის მინდობილ საქმეს. ამას წინათ გამართულ პარტიულ რაიონულ კონფერენციაზე იგი რაიკომის შემადგენლობაში აღარ აირჩიეს.

პარტიული ხელმძღვანელები მოვალე არიან უფრო ღრმად ჩასწვდნენ წარმოების ტექნიკასა და ეკონომიკას, კარგად იცნობდნენ ადამიანებს, დროზე ამჩნევდნენ ყოველივე ახალს, რასაც მასების შემოქმედებითი ინიციატივა წარმოშობს. არ შეიძლება ხელმძღვანელობას ეწეოდე ქალაქში, თუ ვერ იცნობ მრეწველობას, თუ სუსტი წარმოდგენა გაქვს საწარმოო პროცესების მექანიზაციაზე, ელექტროფიკაციასა და ავტომატიზაციაზე, შრომის ნაყოფიერების გადიდების, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და თვითღირებულების შემცირების გზებზე. არ შეიძლება ხელმძღვანელობას ეწეოდე სოფლად, თუ ვერ იცნობ სოფლის მეურნეობას, თუ ბუნდოვნად ერკვევი მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის სამუშაოთა მექანიზაციის, სწორი თესლბრუნვების ათვისების, საკვები ბაზის შექმნის საკითხებში. პარტიულ მუშაკს უნარი უნდა ჰქონდეს გამოძებნოს და გამოიყენოს რეზერვები, რომლებიც ჩვენი სახალხო მეურნეობის წიაღში იფარება.

ფაქტები მოწმობენ, რომ ხელმძღვანელი, რომელიც აღარ იზრდება, არ იძენს ცოდნას წარმოების ტექნიკისა და ეკონომიკის დარგში, გარდუვალად ჩამორჩება ცხოვრებას, ხოლო ზოგჯერ უმეცრულ შეხედულებათა ტყვეობაში მოექცევა. ამას წინათ პარტიის ზაპოროჟიეს საოლქო კომიტეტის სხდომაზე ორეხოვის რაიკომის მდივანს ამხ. ზაგრობსკის ჰკითხეს, რაიონის კოლმეურნეობებში მოსავლიანობა დაბალი რატომ არისო. იგი დიდხანს და აბნეულად ხსნიდა ამას ნიადაგის ცუდი ხარისხით, მაგრამ მისმა პასუხმა ვერავინ ვერ დააკმაყოფილა და ცნეს, რომ ეს პასუხი უაღრესად მცდარი იყო. აღმოჩნდა, რომ ნიადაგი არაფერ შუაშია, მისი მომიზეზება კი ნასესხები იყო ზოგიერთი ჩამორჩენილი ადამიანისაგან. რაიონში მცირე მოსავლის მთავარი მიზეზი ნამდვილად ის არის, რომ აქ თითქმის არ არის გამოყენებული მოწინავე აგროტექნიკური ხერხები, არ ნერგავენ საკოლმეურნეო წარმოების ნოვატორთა გამოცდილებას. ასეთივე შემთხვევა იყო პარტიის კურსკის საოლქო კომიტეტის სხდომაზე, სადაც ნოვი ოსკოლის რაიკომის მდივანმა ამხ. შადრინმა გამოიჩინა იმის სრული უცოდინარობა, თუ რა უპირატესობა აქვს ჭარხლის ნათესის მექანიზებულ დამუშავებას.

პარტიული მუშაკები გულმოდგინედ უნდა ეუფლებოდნენ წარმოების ტექნიკასა და ეკონომიკას და ამასთან მხედველობაში უნდა ჰქონდეთ, რომ ეს თვითმიზანი როდია. საჭიროა შეძენილი ცოდნა ხელს უწყობდეს მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესებას, სახელმწიფო გეგმებისა და დავალებების წარმატებით შესრულებას. არ კმარა ვიცოდეთ, თუ რას წარმოადგენს წარმოების ორგანიზაციის მოწინავე მეთოდები, — უნდა შეგვეძლოს ამ მეთოდების გამოყენება პრაქტიკაში და ამის მეოხებით ვაღწევდეთ ყველაზე ეფექტიან შედეგებს. საქმე იმას ეხება, რომ პარტიული მუშაკი, ღრმად სწვდება რა წარმოების ტექნიკასა და ეკონომიკას, ვიწრო, ცალმხრივ სპეციალისტად კი არ გადაიქცეს, არამედ იყოს ავტორიტეტიანი პოლიტიკური ხელმძღვანელი, ხედავდეს ყოველი კონკრეტული საქმის კავშირს პარტიის პოლიტიკასთან.

თანამედროვე პირობებში პარტიული ორგანიზაციების უპირველესი მოვალეობაა იდეოლოგიური მუშაობა. ისინი დაუცხრომლად უნდა ზრუნავდნენ სოციალისტური კულტურის, მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების განვითარებისა და სრულყოფისათვის. ეს პარტიული მუშაკებისაგან მოითხოვს განუწყვეტლივ იფართოებდნენ კულტურულ ჰორიზონტს, აინტერესებდეთ მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების სიახლენი, ყოველთვის იყვნენ ჩვენი მრავალფეროვანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების კურსში. პარტიული ხელმძღვანელი მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული სამეცნიერო დაწესებულებებთან და შემოქმედებითის ორგანიზაციებთან, სწვდებოდეს მათს საქმიანობას, ამჩნევდეს და მხარს უჭერდეს ყოველივე ახალს, ძვირფასს, ააშკარავებდეს და სპობდეს ყოველივე დახავსებულს, უვარგისს. შეურიგებლად იბრძოდეს მარქსიზმისათვის უცხო იდეოლოგიის ყველა და ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ.

სწორი ხელმძღვანელობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა პარტიული მუშაკების მუდმივი ცოცხალი ურთიერთობა მშრომელთა ფართო მასებთან. ცხოვრება გვასწავლის, რომ ხელმძღვანელთა მარტოოდენ გამოცდილება არ კმარა იმისათვის, რომ სწორად უხელმძღვანელონ, რომ ხელმძღვანელთა გამოცდილება საჭიროა შევავსოთ მასების გამოცდილებით, ხალხის გამოცდილებით. ხელმძღვანელებმა არა მარტო უნდა ასწავლონ მშრომელებს, არამედ კიდევაც უნდა ისწავლონ მათგან. ყველა პარტიული მუშაკის მოვალეობაა გულისხმიერად უგდებდეს ყურს მასების ხმას, მათს რჩევასა და წინადადებებს, ყოველი ღონისძიებით აჩაღებდეს თვითკრიტიკას და განსაკუთრებით ქვემოდან კრიტიკას, მამართავდეს ამ კრიტიკის ალიეცხლს უდარდელობისა და თვითდამშვიდების წინააღმდეგ, ყოყოჩობის. ბიუროკრატიზმისა და ლპობის წინააღმდეგ.

პარტიული ხელმძღვანელობის ამაღლების პრინციპია კოლეგიალობა მუშაობაში. კოლექტიური ხელმძღვანელობის ფროს უზრუნველყოფილია ოკეანისი შედეგების მიღწევა, ნაკლებია შეცდომები, იქმნება მუშაკთა ზრდის პირობები. ჩანასახშივე აღიკვეთება არაორგანიზებულობისა და უპასუხისმგებლობის, ყოყოჩობისა და კარიერიზმის გამოვლინებანი.

რაც უფრო ფართოა პარტიული მუშაკის ჰორიზონტი, რაც უფრო მაღალია მისი ცოდნის დონე, მით უფრო კვალიფიციურია პარტიული ხელმძღვანელობა, მით უფრო მნიშვნელოვანია მისი შედეგები. გულმოდგინედ გაიფართოებენ რა პოლიტიკურ და კულტურულ ჰორიზონტს, შეიარაღდებიან რა მოწინავე თეორიით და დაეუფლებიან რა ხელმძღვანელობის ლენინურ-სტალინურ მეთოდებს, ჩვენი პარტიული კადრები კიდევ უფრო აამაღლებენ თავიანთ როლს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანების გადაწყვეტაში, პარტიისა და მთავრობის მიერ შემუშავებული პოლიტიკის განხორციელებაში.

საბჭოთა საქართველოს დღე

★ ★ ★

ვაზის სასხურებელი მანქანის გამოცდა

თელავი. („კომუნისტის“ კორ.). ვაზის მთავარ ავადმყოფობად ჭრაჭი (ბილდიუმი) ითვლება. მის საწინააღმდეგოდ შაბიამნის ხსნარი უებარი წამალია. დღემდე ვაზისათვის წამლის შესხურება ხელის მანქანით წარმოებს.

ლენინგრადის საკონსტრუქტორო ბიურომ შეიმუშავა ტრაქტორის მისაბმელი სასხურებელი მანქანა „ოტპ-ა“. მანქანას, რომელიც მიბმულია „ხტზ“ მარკის ტრაქტორზე, ერთი კაცი ამუშავებს. მანქანა მძლავრად აფრქვევს შაბიამნის ხსნარს, ასხურებს წამალს ვაზის ფოთლის ორივე მხარეს, ამასთან მტევნებსაც. ხელის აპარატთან შედარებით ჰექტარზე 150 ლიტრი სასხურებელი მასალის ეკონომიას იძლევა, დღეში 4-6 ჰექტარ ვენახს წამლობს და, ამრიგად, ამ მეტად მძიმე სამუშაოდან დღეში 25 კაცს თავისუფლებს.

მანქანის გამოცდას, რაც თელავის რაიონის ვენახებში მოხდა, დაესწრნენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მევენახეობა-მეღვინეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის და საქართველოს მანქანათა საცდელი სადგურის მეცნიერი მუშაკები, წინანდლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის სპეციალისტები, რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელები და სხვ. გამოცდაში მონაწილეობას იღებდა აგრეთვე ლენინგრადის საკონსტრუქტორო ბიუროს წარმომადგენელი კონსტრუქტორი ა. ლუკინოვი.

კომისიამ მაღალი შეფასება მისცა ვაზის სასხურებელ მანქანას.

საკოლმეურნეო ტყე-ბაღები

სტალინირი. (საკ. კორ.). სტალინირის რაიონის სოფელ ძარწმის კოლმეურნეობის წევრებმა რამდენიმე წლის წინათ გადაწყვიტეს თავიანთი სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით გაშენებული ტყე უფრო სასარგებლო გახადონ. ტყეში ბევრი სხვადასხვა ჯიშის პანტა და მაჟალო ხარობდა. კოლმეურნეებმა ასეთ ადგილებში გაკაფეს უნაყოფო ბუჩქნარი და ველური ხეხილის ძირებზე კულტურული მსხლისა და ვაშლის ჯიშები დაამყნეს ეს სასარგებლო საქმე წლითიწლობით ფართოვდებოდა. რამდენიმე წლისა ტყე-ბაღი იძლევა დიდძალ გემრიელ, სურნელოვან ხილს. იგი სოფელსაც ჰყოფნის და კოლმეურნეობას ბაზარზეც გაჰქვს გასაყიდად.

ძარწმელები უვლიან თავიანთ ტყე-ბაღს, ასუფთავებენ ხეხილს, ატარებენ შესაფერ აგროღონისძიებებს. ამ საქმეზე განსაკუთრებით კარგად მუშაობენ კოლმეურნეები ვ. გოგიძე, მ. მეტრეველი, ა. გოგიძე, ვ. ჭოველიძე და სხვ.

ძარწმელთა მაგალითს რაიონის ბევრმა კოლმეურნეობამ მიბაძა. კარგი ტყე-ბაღები მოაწყეს ვანათის, ელტურის და სხვა კოლმეურნეობებმა.

პირველ ადგილზე სსრ კავშირში

ტყვარჩელი, 4 ივლისი. (საქდესი). **ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტის მოწინავე საწარმოებმა № 5 შახტმა და ცენტრალურმა გამაუხვებელმა ფაბრიკამ მაისში სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მიხედვით პირველი ადგილი დაიკავეს სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის საწარმოთა შორის.**

მეხუთე შახტის მაღაროელებმა შეინარჩუნეს საბჭოთა კავშირის პროფსაბჭოს და სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს გარდამავალი წითელი დროშა და მიიღეს პირველი პრემია 40 ათასი მანეთის რაოდენობით.

ტყვარჩელის ქვანახშირის გამაუხვებელი ფაბრიკის კოლექტივს საბჭოთა კავშირის პროფსაბჭოსა და სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს გარდამავალ წითელ დროშასთან ერთად მიეცა ფულადი პრემია.

შეჯიბრებაში გამარჯვებულნი დიდი ენერგიით ემზადებიან მეშახტის დღისათვის. მეხუთე შახტის მაღაროელებმა ქვანახშირის ამოღების ივნისის გეგმა შეასრულეს 119 პროცენტით, წარმატებით შეასრულეს თვიური დავალება ქვანახშირის გამაუხვებლებმაც.

ქვანახშირი მძიმე წონის მაჯარებლებით

ჟუთაისი. (საკ. კორ.). მძიმე წონის მატარებელთა ტარების ოსტატებმა ელექტრომავლის მემანქანეებმა ოთარ მელაძემ და კარლო რიჟამაძემ მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს რკინიგზელის დღის აღსანიშნავად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში. ივნისში ო. მელაძემ გადაიყვანა ქვანახშირით დატვირთული ხუთი მძიმე წონის მატარებელი, ხოლო კ. რიჟამაძემ — ცხრა მატარებელი.

ჟუთაისის საელმავლო დეპოს კოლექტივმა ნაყოფიერი შრომის შედეგად ივნისში სადღეღამისო გარბენის გეგმას 2 კილომეტრით გადაამეტა, „ავადმყოფ“ ლოკომოტივთა რაოდენობა 5 პროცენტით შეამცირა, ხოლო ტექნიკური სიჩქარე საათში 1,5 კილომეტრით გაადიდა.

ოჩხამურელმა მეჩაიეებმა გამოასნორეს ჩამორჩენა

ქობულეთი. (საკ. კორ.). სტალინის სახელობის ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობა შარშან საკავშირო შეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვიდა.

წელს ოჩხამურელმა მეჩაიეებმა სეზონი ცუდად დაიწყეს, მაისის დავალება ვერ შეასრულეს და მრეწველობას 96 ტონა ნედლეული დააკლეს.

მეურნეობის კოლექტივმა გადაწყვიტა ჩამორჩენისათვის თავი დაეღწია და კვლავ მოწინავეთა რიგებში ჩამდგარიყო. სიტყვას საქმეც მოჰყვა. ივნისში მათ მნიშვნელოვნად გააძლიერეს კრეფის ტემპები. ოჩხამურელებმა 1 ივლისისათვის ჩაის კრეფის ივნისის დავალება მაისის დანაკლისით 108,3 პროცენტით შეასრულეს.

დეპუტატის მაგალითისამებრ

ცხაკაია. („კომუნისტის“ კორ.). მიმდინარე წელს ჩაის ფოთლის კრეფაში დაწინაურდა სოფელ ეკის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რაიონული საბჭოს დეპუტატი მინდორა მაჭავარიანი. მოსავლელად მიჩენილი პლანტაციის ბეჯითად დამუშავების შედეგად მან ივნისში შეასრულა კრეფის წლიური დავალება — მოკრიფა 2.800 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

დეპუტატის სასახელო შრომა მაგალითი გახდა სხვებისათვის. მისი მაგალითისამებრ ჩაის კრეფენ კოლმეურნე ახალგაზრდები თინა ნორაკია, ნინო ელიავა, ვენერა ქვარცხავა და სხვები. მათ ორ თვეში გადაჭარბებით შეასრულეს ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმები. მ. მაჭავარიანი სხვა კოლმეურნეებსაც ეხმარება ჩაის კრეფის ოსტატობის დაუფლებაში.

მაღაროელები საკუთარ სახლებს იშენებენ

ჭიათურა. („კომუნისტის“ კორ.). მაღაროელთა ქალაქში ფართოდ არის გაშლილი ინდივიდუალური მშენებლობა: შარშან საკუთარ სახლებს იშენებდა 48 მუშა და ინჟინერ-ტექნიკოსი. მათ მარგანეცის ტრესტმა სესხად მისცა 244.500 მანეთი და დაეხმარა საშენი მასალებით. კარგი სახლები აიშენეს მაღაროელებმა გ. ჩაჩანიძემ, დ. ლომიძემ, დ. გველესიანმა, პ. კაციტაძემ, გ. მიროტაძემ, ს. აბრამიშვილმა, შ. ყიფშიძემ, ზ. აბდუშელიშვილმა, გ. მეგრელიშვილმა, ლ. ძინძიბაძემ და სხვებმა.

წელს საკუთარ სახლებს იშენებს 75 კაცი. მათ სახელმწიფო ეხმარება გრძელვადიანი სესხით.

უსტ-კამენოგორსკის ჰიდროელექტროსადგური მწყობრში ჩადგა

უსტ-კამენოგორსკის ჰიდროელექტროსადგურის მშენებელთა კოლექტივმა საეკსპლოატაციოდ გადასცა ჰიდროელექტროსადგური და სანაოსნო რაბი.

... ჰიდროკვანძის ელექტროკუნძულზე თავი მოიყარა ათასობით მშენებელმა. მზით გაშუქებულია რაბისა და კაშხალის ბეტონის ბუმბერაზი ნაგებობანი, რომლებს იქით ხმაურობს ახალი დიდი წყალსაცავის ზურმუხტოვანი ტალღები, მოჩანს მაღალვოლტიანი ელექტროგადამცემი ხაზის აეურული საყრდენები.

ტრიბუნაზე არიან მშენებლობის ხელმძღვანელები, მოწინავე მშენებლები. სიტყვას იღებს მშენებლობის უფროსი მ. ინიუშინი. იგი ამბობს:

— პირველი ჰიდროსადგური ირტიშზე აგებულია. მადნით მდიდარმა ალტაიმ ირტიშის ენერგია მიიღო.

ამხ. ინიუშინი დამსწრეთ მოუთხრობს, როგორ იზრდებოდნენ მშენებლობაზე ადამიანები, როგორ უმჯობესდებოდა შრომის მეთოდები. ჰიდროკვანძის მშენებლობა რთულ ბუნებრივ პირობებში მიმდინარეობდა. შედარებით მოკლე ვადაში ირტიშზე მოწინავე საბჭოთა ტექნიკის საშუალებით შესრულებულ იქნა ორნახევარი მილიონი კუბური მეტრი მიწაკლდის სამუშაოები. ობიექტებში ჩასხმულია 600 ათას კუბურ მეტრზე მეტი ბეტონი, დადგმულია ნახევარი მილიონი ტონა არმატურა, დამონტაჟებულია დიდძალი ლითონის კონსტრუქციები.

ჰიდროელექტროსადგურის მშენებლებმა მოკლე ვადებში დადგეს მძლავრი ჰიდროძალოვანი აგრეგატები, რომლებიც უკვე იძლევიან სამრეწველო დენს.

მშენებლობის უფროსის შემდეგ გამოდიან მშენებლობის მოწინავე ადამიანები — მემონტაჟე ყაზახი ა. ადრიშევი, ჰიდროელექტროსადგურის ძირითად ნაგებობათა სამმართველოს უფროსი ი. გონჩაროვი, შემფიცვრელთა ბრიგადირი პ. ოლიფერენკო, ბეტონჩასასხმელი ამწის მემანქანე ა. სოლნცევა. მათ აღნიშნეს, თუ რა სიხარული მოუტანა მშენებლებს ჰიდროკვანძის ძირითადი ობიექტების მშენებლობის წარმატებით დამთავრებამ.

დასასრულ სიტყვა წარმოთქვა ყაზახეთის კომუნისტური პარტიის აღმოსავლეთ ყაზახეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა გ. კარეაუბაევმა. მან ჰიდრომშენებლებს მიულოცა დიდი შრომითი გამარჯვება.

ამის შემდეგ მშენებლები დაესწრნენ ირტიშის სათავეებიდან ხემიპალატინსკში მომავალი სამგზავრო გემის „ლობკოვის“ რაბვას.

შემდეგ მშენებელ მუშათა დიდ აბლაკეტკაში დაიწყო დიდი სახალხო სეირნობა.

უსტ-კამენოგორსკი.

* * *

ხუთაათებზე: 1. უსტ-კამენოგორსკის ჰიდროელექტროსადგურის შენობა, 2. გემი რაბში შედის.

ფოტო ვ. სმირნოვისა. (საკდესი).





მეცნიერთა ეროვნული კადრების მომზადება

ლენინგრადი, 2 ივლისი. (საკდესი). სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ლენინგრადის ინსტიტუტების ასპირანტურა ამზადებს მეცნიერთა ეროვნულ კადრებს ყველა საბჭოთა რესპუბლიკისათვის.

დღეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის რუსული ლიტერატურის ინსტიტუტში ასპირანტმა ი. კურილენკომ დაიცვა დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. მან თავისი ნაშრომი მიუძღვნა ოლეს გონჩარის შემოქმედებას. დისერტანტს მიენიჭა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

ასპირანტთა ჯგუფმა წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაციები აღმოსავლეთმცოდნეობის პრობლემებზე. ყაზახმა ს. იბრაგიმოვმა დაამუშავა თემა—დემოკრატიული გარდაქმნები სინძიანში ჩინეთის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ. საინტერესოა უზბეკის ფ. მაზიტოვას ნაშრომი, რომელმაც გააშუქა ენერგეტიკისათვის მნიშვნელოვანი პრობლემა ერთმილიან სათბოფიკაციო სისტემებში თბოტუმბოების გამოყენების პირობების შესახებ.

ასპირანტურას ამთავრებს 130-ზე მეტი კაცი, — ოცდაცხრამეტი ეროვნების წარმომადგენელნი. ახალგაზრდა მეცნიერთა ახალი რაზმი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისათვის მიემგზავრება საბჭოთა კავშირის ბევრ რესპუბლიკაში.

მოსკოვი

„კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან

გ. ნ. მარგიანი — ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი

მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტმა გ. ნ. მარგიანმა დაიცვა დისერტაცია თემაზე: „იანვრის საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა 1918 წელს ავსტრიაში“.

უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ გ. ნ. მარგიანს მიანიჭა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

გრიგოლ აბაშიძის ლექსები და პოემები

მხატვრული ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოსცა გრიგოლ აბაშიძის წიგნი „ლექსები და პოემები“ (ავტორიზებული თარგმანი ქართულიდან).

წიგნი შედგება შემდეგი განყოფილებებისაგან: „მშვიდობის მედროშენი“, „სამხრეთ საზღვარზე“, „ლენინი სამგორში“, „სიმღერა სტალინზე“, „ლირიკული რვეულიდან“. გარდა ამისა, წიგნში შესულია გ. აბაშიძის პოემები „შავი ქალაქის გაზაფხული“ და „ძლევის ქედი“, აგრეთვე სბავშვო ლექსები.

პოეტის ეს ნაწარმოებნი თარგმნეს ა. ტარკოვსკიმ, ა. მეეიროვმა, ვ. ზვიაგინცევამ, ტ. კაზმიჩევამ, ბ. სერებრიაკოვმა, მ. მაქსიმოვმა, ნ. ზაბოლოცკიმ, ა. გატოვმა, მ. პავლოვამ, ა. გლობამ, ნ. ტიხონოვმა, ე. დოლმატოვსკიმ, კ. ლიპსკეროვმა, ა. ვლადიმიროვამ, გ. შენგელიმ, გ. ცაგარელმა, ა. კოჩეტკოვმა, ვ. დერეკინმა, მ. შეტერმა, ნ. ბელინოვიჩმა.

წიგნი გააფორმა მხატვარმა დ. დარანმა. მასში მოთავსებულია ავტორის პორტრეტი, ბიოგრაფიული ცნობა და შენიშვნები.

რედაქტორია ა. სტაროსტინი, მხატვრული რედაქტორი მ. მუხინი, ტირაჟია 10.000 ცალი. ფასი 5 მან. 25 კაპ.

სახალხო პოეტის წიგნი

მხატვრული ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა უახლოეს ხანში გამოსცემს აფხაზეთის ასსრ სახალხო პოეტის დიმიტრი გულიას რჩეულ ნაწარმოებებს.

ახალ წიგნში შედის როგორც რევოლუციამდელ წლებში დაწერილი ლექსები, ისე უკანასკნელ ხანებში შექმნილი ნაწარმოებები, აგრეთვე რომანი „ყამაჯი“, მოთხრობები, პიესა, პოემები და სხვ.

„მხიარული მეგობრები“ რადიოთი

საკავშირო რადიომაუწყებლობა ხულ უფრო ხშირად გადასცემს სსრ კავშირის ხალხთა მწერლების ნაწარმოებებს. ერთ-ერთი ასეთი რადიოგადაცემა გაიმართა 1 ივლისს დღისით. პირველი რადიოპროგრამით მრავალმა რადიომსმენელმა მოისმინა გადაცემა უმცროსი ასაკის მოსწავლეებისათვის, რომელშიც შეტანილი იყო ბარათაშვილის მოთხრობები „მხიარული მეგობრები“.

„მხიარული მეგობრები“ წაიკითხა სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ბ. ჩირკოვმა.

წარჩინებული კალატოზები

დედაქალაქის უამრავ მშენებლობაზე ბევრი მოწინავე მშენებელი მუშაობს. მათ შორის არის მოსკოვის წარჩინებული კალატოზი, სტალინური პრემიის ლაურეატი, შრომის სტახანოვური მეთოდების ინსტრუქტორი პეტრე ორლოვი, რომელიც ოცდაათი წელია მუშაობს მოსკოვის მშენებლობებზე.

ამას წინათ მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომმა ქალაქის რეკონსტრუქციაში აქტიური მონაწილეობისათვის პ. ორლოვი სპეციალური სიგელით დააჯილდოვა.

მოდის საკოლმეურნეო სოფლის გარაჟა!



ლაგოდეხის რაიონში ფართოდ არის გაჩაღებული თავთავიანი კულტურების მოსავლის აღება. მექანიზატორები დიდ დახმარებას უწევენ კოლმეურნეობებს პურის უდანაკარგოდ აღებაში. მრავალი კომბაინერი ენერგიულად იბრძვის სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვების მოსაპოვებლად. აფენის მტს-ის კომბაინერი ილია ჭუმბურიძე. დღეში საშუალოდ 15-20 ჰექტარზე იღებს მოსავალს. კარგი მუშაობისათვის მას რაიონის გარდამავალი წითელი დროშა გადაეცა. **სურათზე:** (წრეში) კომბაინერი ი. ჭუმბურიძე.

ფოტო გ. ვახტანგაძისა.

კომბაინერთა შეჯიბრება

კომბაინერ სომხიაშვილის ახალი წარმატება

ლაგოდეხი. (ტელეფონით). საქართველოს კომპარტიის ლაგოდეხის რაიკომის მდივანმა ამხ. გ. მირიანაშვილმა რედაქციას აცნობა: მოწინავე კომბაინერები წარმატებით ანაღდებენ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს. შეჯიბრებაში დაწინაურდა ვარდისუბნის მტს-ის კომბაინერი ალ. სომხიაშვილი. მან 3 ივლისს „სტალინეც-6“ მარკის კომბაინით გორკის სახელობის კოლმეურნეობის ნაკვეთში მოსავალი აიღო 30 ჰექტარზე ნაცვლად ნორმით გათვალისწინებული 12 ჰექტარისა და გალეწა 60 ტონა პური.

პურეულის მკა გაჩაღდა

საგარეჯო. („კომუნისტის“ სპეც. კორ.). სართიჭალის მეცხრამეტე პარტიული ყრილობის სახელობის კოლმეურნეობის ვრცელ ფართობებზე კომბაინერები შეუდგნენ პურეულის მკას.

მოსავლის აღება პირველმა დაიწყო სართიჭალის მტს-ის კომბაინერმა ა. სინჯიკაშვილმა, რომელმაც სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია იორის მტს-ის კომბაინერი ვ. ალექსაშვილი.

მკას შეუდგნენ აგრეთვე საგარეჯოს კოლმეურნეობა „ახალ შრომაში“, საგარეჯოს მარქსის სახელობის, ბერიას სახელობის და მთელ რიგ სხვა კოლმეურნეობებში.

ერთი დღე მინდვრის ხომალდებთან

გურჯაანი. („კომუნისტის“ საკ. კორ.). საკოლმეურნეო მინდვრებში პურეულის მკა გაჩაღდა. მინდვრის ხომალდები ბანუწყვეტლივ გუგუნებენ. მექანიზატორთა და კოლმეურნეთა ნამაგარს ბუნკერებში აგროვებენ. შემდეგ ავტომანქანებითა და ურმებით მარცვალსაშრობებში მიაქვთ.

კარდანახის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის ყანაში „სტალინეც-6“ მარკის კომბაინს ი. რუაძე მართავს. იგი გამოცდილი მექანიზატორია. 25 ივნისს 8 საათის განმავლობაში მან მოსავალი ოც ჰექტარზე აიღო. მეშტურვალე ვ. ბერიძე, ტრაქტორისტი ტ. გველუკაშვილი, მისაბმელ მანქანაზე მომუშავე ა. ღირსიაშვილი შეწყობილად შრომობენ, კომბაინერის წარმატებას ხელს უწყობენ.

ი. ბელიანინი 17 წელია, რაც მოსავალს იღებს. იგი ოთხ პროფესიას ფლობს. წელს „სტალინეც-6“-ით 550 ჰექტარის მომკა იკისრა. კომბაინერის სიტყვა საქმეს არ სცილდება. ორ დღეში მოსავალი 35 ჰექტარზე აიღო. ტექნიკური მიზეზით არც ერთ წუთს არ აცდენს მანქანას. კარდანახის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრები კომბაინერის საქმიანობით კმაყოფილი არიან. ასევე შეიძლება ითქვას კომბაინერ ვ. ხუროშვილის შესახებ, რომელიც თვითმავალ კომბაინს ამუშავებს და პირველი 33 ჰექტარი მომკა. ვ. ხუროშვილი ბუნკერის დაცლას კომბაინის სვლის დროს აწარმოებს. ამ მიზნით კომბაინზე სპეციალური ბაქანი გამართა. მასზე მდგომი დამხმარეები ბუნკერიდან ხორბალს ტომრებში ცლიან, თავს მოუკრავენ და დაბლა უშვებენ. ამ გზით კომბაინერი დღეში საათნახევარ-ორ საათს იგებს.

ბაკურციხის მინდვრებში კომბაინერი ს. სვიმონიშვილი ვინახულეთ. იგი „სტალინეც-6“-ით ჰექტარზე 22-23 ცენტნერ ხორბალს ლეწავს. აქვე „კომუნარით“ ვ. ქიტაიშვილი იღებს მოსავალს. მან პირველ სამდღენახევარში 40 ჰექტარი მომკა.

სოფელ ვეჯნის კოლმეურნეობაში თვითმავალ კომბაინს მართავს ბეჯითი მექანიზატორი ს. უტიაშვილი. მის შესახებ კოლმეურნეები ამბობენ: „კი არ დადის, დაჰქრისო“. ეს რომ ასეა, ამას ისიც ადასტურებს, რომ 25 ივნისს რვა საათში 16 ტონა პური გადმოტვირთა ბუნკერიდან.

მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ გურჯაანელებს მკაში ყველაფერი რიგზე ჰქონდეთ. მოსავლის აღების პირველ დღეებში ნაკლოვანებანიც, და მეტად სერიოზული ნაკლოვანებანი გამოვლინდა: ცნობილია, რომ მუშაობის საათობრივი გრაფიკი პროგრესული მეთოდია. იგი ზრდის მექანიზატორთა პასუხისმგებლობას, ადიდებს შრომის ნაყოფიერებას. მიუხედავად ამისა, გურჯაანის მტს-ის კომბაინერებს საათობრივი გრაფიკით მუშაობა დღემდე არ დაუნერგავთ. ამ საქმის მოგვარებაზე მტს-ის დირექტორს დ. როსტოშვილს და მის მოადგილეს პოლიტიკურ ნაწილში ვ. ჰიღოლაშვილს ჯერ არ უფიქრიათ.

კარდანახის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში თვითმავალ კომბაინს ნამჯის შემგროველი არა აქვს. „გაგვიტყდაო“, — თავს იმართლებენ. ამით, ცხადია, კოლმეურნეთა შრომა რთულდება. გაფანტული ნამჯის შეგროვება დიდ დროს მოითხოვს.

ეუფრო მეტი შეიძლება ითქვას კოლმეურნეობების შესახებ. კოლმეურნეობათა ხელმძღვანელები ნაკვეთების მოამზადებას აგვიანებენ. კარდანახის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში ერთ დღეს კომბაინი ორ საათს ითმენ გაცდა, რომ ნაკვეთი შემომკილი არ იყო.

კომბაინებზე სამუშაოდ მექანიზატორთა დასახმარებლად გამოყოფილ კოლმეურნეებს ყოველდღიურად ცვლიან. ამით მუშაობა ფერხდება.

კარდანახისა და ბაკურციხის კოლმეურნეობები ბუნკერიდან ხორბალს ურმებზე ტვირთავენ. ამ შემთხვევაში, ჯერ-ერთი, კომბაინების მუშაობა ფერხდება და, მეორეც, ხშირად ხორბალი იბნევა.

დანაკარგების წინააღმდეგ ზოგან ნაკლებად იბრძვიან. კარდანახის კოლმეურნეობებში თავთავის აკრეფაზე კოლმეურნეთა უმნიშვნელო ნაწილი მუშაობს. ამ საქმეში მოზარდთა შრომას არ იყენებენ. ეუფრო მეტი: სოფელ ვეჯნის კოლმეურნეობაში თავთავაუკრეფელ ნაკვეთებში ღორები შერეკეს. აღსანიშნავია ისიც, რომ კოლმეურნეობები ნამჯის გამოზიდვას და დაზვინვას აგვიანებენ.

ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა მოსავლის აღების საქმეში და გამოვლინებული ნაკლოვანებები სწრაფად უნდა გამოასწორონ.

ს. ქოჩლაძე.

ხალხთა მეგობრობის დროშით

ძვირფასი სეფეხურები — ბიბლიოთეკა

ამ დღეებში მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების ბერიას სახელობის კოლმეურნეობას ეწვია სომხეთის სსრ ჰოქტემბერიანის რაიონის სოფელ ნალბახდიანის (ყოფილ ფოქრშალორიანის) მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობის დელეგაცია. კოლმეურნეობის თავმჯდომარის ა. დავთიანის, სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ს. ხაჩატურიანის, რაიონული გაზეთის რედაქტორის კ. პოღოსიანის, მტს-ის დირექტორის ა. ასატურიანის, კოლმეურნეობის ბრიგადირების ნ. სარქისიანის, ს. კოჩარიანისა და სხვათა შემადგენლობით.

როგორც ცნობილია, ნატანების ბერიას სახელობის კოლმეურნეობასა და ნალბახდიანის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობას შორის სოციალისტურ შეჯიბრებას 1938 წლიდან ჩაეყარა საფუძველი.

ქართველ და სომეხ კოლმეურნეთა შორის შეჯიბრება ახალი ძალით გაჩაღდა ომისშემდგომ პერიოდში. ისინი ხშირად ეწვევიან ხოლმე ერთმანეთს, ამოწმებენ შეჯიბრების ნაკისრი ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობას, ეუზიარებენ ერთმანეთს თავიანთ გამოცდილებას, აფორმებენ სოციალისტური შეჯიბრების ახალ ხელშეკრულებებს. ამის შედეგად ორივე კოლმეურნეობა მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევს საზოგადოებრივი მეურნეობის განმტკიცების საქმეში. შეჯიბრება ყოველწლიურად ავლენს ახალ სახელოვან ადამიანებს, რომლებიც წარმატებებს აღწევენ საკოლმეურნეო წარმოებაში.

ნატანებელები გულთბილად შეხვდნენ საყვარელ სტუმრებს, რომლებმაც აქ დაათვალიერეს ჩაის პლანტაციები, გაეცნენ ჩაის ფოთლის კრეფის წესებს, საუბარი ჰქონდათ ცნობილ მეჩაიეებთან სოციალისტური შრომის გმირებთან დარეჯან ტაკიძესთან, ლიუდი ხურციძესთან და სხვებთან.

სტუმრები დიდი ინტერესით გაეცნენ აგრეთვე ციტრუსების, ტუნგოსა და ევკალიპტის პლანტაციებს, ხოლო საღამოთი შეხვდნენ კოლმეურნეობის აქტივს, სადაც გაჩაღდა აზრთა გაცვლა-გამოცვლა საკოლმეურნეო წარმოების ცალკეულ საკითხებზე.

მეორე დღეს მოეწყო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების შემოწმება. გამოირკვა, რომ ორივე კოლმეურნეობას გადაჭარბებით და სათანადო ხარისხის დაცვით შესრულებია ნაკისრი ვალდებულებები. ამის შემდეგ — ქართველ და სომეხ კოლმეურნეთა შორის გაფორმდა სოციალისტური შეჯიბრების ახალი ხელშეკრულება.

სომეხმა კოლმეურნეებმა იკისრეს წელს თვითეულ ჰექტარზე მოიყვანონ 28 ცენტნერი ხორბალი, 70 ცენტნერი ყურძენი, 125 ცენტნერი კარტოფილი, ყოველ 100 ძროხაზე მიიღონ 95 ხბო, ხოლო თვითეულ ძროხაზე 1.100 ლიტრი რძე. ისინი თვითეულ დედაღორზე წლის განმავლობაში მიიღებენ 15 გოჭს.

სერიოზული ვალდებულებანი იკისრეს ნატანებელმა კოლმეურნეებმაც. წელს აქ ჩაის მოსავლიანობა ჰექტარზე საშუალოდ მიაღწევს 6.525 კილოგრამს. ჩაის ახალი პლანტაციის გაშენების მიზნით მომზადდება 30 ჰექტარი ნიადაგი, გაშენდება ჩაის ახალი პლანტაცია 21 ჰექტარზე, წელსვე დამთავრდება ციტრუსოვანთა აღდგენა 90 ჰექტარზე და მომზადდება ნიადაგი 70 ჰექტარზე ციტრუსოვანთა ახალი პლანტაციის გასაშენებლად.

ნატანებელი კოლმეურნეების ვალდებულებაა წელს სახელმწიფოს ჩააბარონ 8 მილიონი ციტრუსოვანთა, 210 ტონა ტუნგოს ნაყოფი და 11,7 ტონა აბრეშუმის პარკი. გარდა ამისა, ისინი გააშენებენ 10 ჰექტარ ტუნგოსა და 7 ჰექტარ ბამბუკის ახალ პლანტაციებს, სამუალოდ ჰექტარზე მიიღებენ 25 ცენტნერ სიმინდს.

სამშობლოში გამგზავრების წინ სომეხ კოლმეურნეთა წარმომადგენლები ესტუმრნენ ნატანების ჩაის ფაბრიკას.

სტუმრებმა დიდი ინტერესით დაათვალიერეს ჩაისა და ციტრუსოვან კულტურათა ანასეულის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ჩაის საცდელი ნაკვეთები, გაეცნენ იმ საინტერესო მუშაობას, რასაც ინსტიტუტი ეწევა ყინვაგამძლე და გვალვაგამძლე ჩაისა და ციტრუსების ახალი ჯიშების გამოსაყვანად, მოისმინეს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის, ინსტიტუტის დირექტორის ამხ. ირ. გამყრელიძისა და სხვა მეცნიერ მუშაკთა საინტერესო საუბრები ჩაისა და ციტრუსოვანი მეურნეობის სხვადასხვა საკითხებზე.

ორი დღის სტუმრობის შემდეგ ნატანებელმა კოლმეურნეებმა გულთბილად გააცილეს თავიანთი საყვარელი მეგობრები.

ვ. ჯაფელი.

რუსთავიდან—სვალინგრადელ, სუმგაიტელ, დაშქესანელ მშენებლებს

რუსთავი. („კომუნისტის“ კორ.). საშენ მასალათა წარმოებაში ინდუსტრიული მეთოდების გამოყენებით შეუნელებელი ზრდის პროდუქციის გიგანტებად ნაკისრი ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობას, ეუზიარებენ ერთმანეთს თავიანთ გამოცდილებას, აფორმებენ სოციალისტური შეჯიბრების ახალ ხელშეკრულებებს. ამის შედეგად ორივე კოლმეურნეობა მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევს საზოგადოებრივი მეურნეობის განმტკიცების საქმეში. შეჯიბრება ყოველწლიურად ავლენს ახალ სახელოვან ადამიანებს, რომლებიც წარმატებებს აღწევენ საკოლმეურნეო წარმოებაში.

ნატანებელები გულთბილად შეხვდნენ საყვარელ სტუმრებს, რომლებმაც აქ დაათვალიერეს ჩაის პლანტაციები, გაეცნენ ჩაის ფოთლის კრეფის წესებს, საუბარი ჰქონდათ ცნობილ მეჩაიეებთან სოციალისტური შრომის გმირებთან დარეჯან ტაკიძესთან, ლიუდი ხურციძესთან და სხვებთან.

სტუმრები დიდი ინტერესით გაეცნენ აგრეთვე ციტრუსების, ტუნგოსა და ევკალიპტის პლანტაციებს, ხოლო საღამოთი შეხვდნენ კოლმეურნეობის აქტივს, სადაც გაჩაღდა აზრთა გაცვლა-გამოცვლა საკოლმეურნეო წარმოების ცალკეულ საკითხებზე.

მეორე დღეს მოეწყო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების შემოწმება. გამოირკვა, რომ ორივე კოლმეურნეობას გადაჭარბებით და სათანადო ხარისხის დაცვით შესრულებია ნაკისრი ვალდებულებანი. ამის შემდეგ — ქართველ და სომეხ კოლმეურნეთა შორის გაფორმდა სოციალისტური შეჯიბრების ახალი ხელშეკრულება.

სომეხმა კოლმეურნეებმა იკისრეს წელს თვითეულ ჰექტარზე მოიყვანონ 28 ცენტნერი ხორბალი, 70 ცენტნერი ყურძენი, 125 ცენტნერი კარტოფილი, ყოველ 100 ძროხაზე მიიღონ 95 ხბო, ხოლო თვითეულ ძროხაზე 1.100 ლიტრი რძე. ისინი თვითეულ დედაღორზე წლის განმავლობაში მიიღებენ 15 გოჭს.

სერიოზული ვალდებულებანი იკისრეს ნატანებელმა კოლმეურნეებმაც. წელს აქ ჩაის მოსავლიანობა ჰექტარზე საშუალოდ მიაღწევს 6.525 კილოგრამს. ჩაის ახალი პლანტაციის გაშენების მიზნით მომზადდება 30 ჰექტარი ნიადაგი, გაშენდება ჩაის ახალი პლანტაცია 21 ჰექტარზე, წელსვე დამთავრდება ციტრუსოვანთა აღდგენა 90 ჰექტარზე და მომზადდება ნიადაგი 70 ჰექტარზე ციტრუსოვანთა ახალი პლანტაციის გასაშენებლად.

ნატანებელი კოლმეურნეების ვალდებულებაა წელს სახელმწიფოს ჩააბარონ 8 მილიონი ციტრუსოვანთა, 210 ტონა ტუნგოს ნაყოფი და 11,7 ტონა აბრეშუმის პარკი. გარდა ამისა, ისინი გააშენებენ 10 ჰექტარ ტუნგოსა და 7 ჰექტარ ბამბუკის ახალ პლანტაციებს, სამუალოდ ჰექტარზე მიიღებენ 25 ცენტნერ სიმინდს.

სამშობლოში გამგზავრების წინ სომეხ კოლმეურნეთა წარმომადგენლები ესტუმრნენ ნატანების ჩაის ფაბრიკას.

სტუმრებმა დიდი ინტერესით დაათვალიერეს ჩაისა და ციტრუსოვან კულტურათა ანასეულის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ჩაის საცდელი ნაკვეთები, გაეცნენ იმ საინტერესო მუშაობას, რასაც ინსტიტუტი ეწევა ყინვაგამძლე და გვალვაგამძლე ჩაისა და ციტრუსების ახალი ჯიშების გამოსაყვანად, მოისმინეს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის, ინსტიტუტის დირექტორის ამხ. ირ. გამყრელიძისა და სხვა მეცნიერ მუშაკთა საინტერესო საუბრები ჩაისა და ციტრუსოვანი მეურნეობის სხვადასხვა საკითხებზე.

ორი დღის სტუმრობის შემდეგ ნატანებელმა კოლმეურნეებმა გულთბილად გააცილეს თავიანთი საყვარელი მეგობრები.

ვ. ჯაფელი.

ხალხის კეთილდღეობა კომუნისტური პარტიის უმაღლესი კანონია

აგიტატორის დასახმარებლად

სოციალიზმის ძირითადი ეკონომიური კანონის მოთხოვნათა მიხედვით კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას წარმართავენ სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განუწყვეტელი განვითარების გზით, რომელიც უზრუნველყოფს მშრომელთა კეთილდღეობის მუდმივ ზრდას. საბჭოთა ადამიანები მრავალი წლის გამოცდილებით დარწმუნდნენ, რომ ჩვენს პარტიასა და მთავრობას სხვა ინტერესები არა აქვთ, გარდა ხალხის ინტერესებისა. პარტიას და მთავრობას საშინაო პოლიტიკის დარგში თავიანთ მთავარ საზრუნავად მიაჩნიათ განუხრელად ცდილობდნენ მიაღწიონ მუშების, კოლმეურნეების, ინტელიგენციის, ყველა საბჭოთა ადამიანის მატერიალური კეთილდღეობის შემდგომ გაუმჯობესებას. საბჭოთა ადამიანის კეთილდღეობისათვის, საბჭოთა ხალხის ბედნიერებისათვის ზრუნვა ჩვენი პარტიისა და მთავრობის უმაღლესი კანონია.

ქალაქად უმუშევრობისა და სოფლად სიღატაკის მოსპობა საბჭოთა ხელისუფლების დიადი ისტორიული მიღწევაა. განუწყვეტელი განვითარების პროცესში მყოფი მძლავრი სოციალისტური ეკონომიკა ის საიმედო საფუძველია, რომელზეც დამყარებულია თვითეული საბჭოთა ადამიანის წმიდა უფლება — შრომის უფლება, რაც სსრ კავშირის კონსტიტუციით არის გარანტირებული. გასული წლის დამლევისათვის ჩვენში მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობა შეადგენდა 41,7 მილიონ კაცს, — 900 ათასით მეტს, ვიდრე 1951 წლის დამლევს იყო.

ჩვენს ქვეყანაში სახალხო მეურნეობის აღმავლობას თან ახლავს ნაციონალური შემოსავლის ზრდა. ცნობილია, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებში უდიდესი ნაწილი ნაციონალური შემოსავლისა, რომელსაც მშრომელები ქმნიან, ექსპლოატატორული კლასების ხელში გადადის. ჩვენში, საბჭოთა კავშირში, მთელი ნაციონალური შემოსავალი მშრომელებს ეკუთვნით.

საბჭოთა კავშირში ნაციონალური შემოსავლის ზრდა მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების ყველაზე განმაზოგადებელი და მკაფიო მაჩვენებელია. 1940 წლიდან 1951 წლამდე სსრ კავშირის ნაციონალური შემოსავალი 83 პროცენტით გაიზარდა. 1952 წელს იგი 1951 წელთან შედარებით კიდევ 11 პროცენტით გადიდდა.

საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესება გამოხატულებას პოულობს მუშა-მოსამსახურეთა ფულადი და რეალური ხელფასის ზრდით, გლეხთა შემოსავლის გადიდებით. მუშა-მოსამსახურეთა რეალური ხელფასისა და გლეხთა რეალური შემოსავლის ზრდის უმნიშვნელოვანესი წყარო მასობრივი მოხმარების საქონლის ფასების შემცირება, რასაც თანმიმდევრულად ახორციელებენ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა.

სასურსათო და სამრეწველო საქონლის სახელმწიფო საცალო ფასების ახალი, ომისშემდგომ წლებში სათვალავით მეექვსე, შემცირება, რაც მიმდინარე წლის 1 აპრილიდან განხორციელდა, ხელს უწყობს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის ყველა ფენის საარსებო დონის შემდგომ სერიოზულ ამაღლებას, საბჭოთა მანეთის მყიდველობითი ძალის განმტკიცებას. ფასების ამ შემცირების დიდმნიშვნელოვანი თავისებურება ის არის, რომ იგი არსებითად გავრცელდა მასობრივი მოხმარების ყველა სასურსათო და სამრეწველო საქონელზე და აძლევს მშრომელებს ერთ-ერთ ყველაზე დიდ სარგებლობას, რომელსაც კი მოსახლეობა ფასების შემცირებით იღებდა ომისშემდგომი წლების მთელ მანძილზე. მარტო სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის ხაზით ფასების ახალი შემცირების შედეგად მოსახლეობის პირდაპირი სარგებლობა შეადგენს 46 მილიარდ მანეთს წელიწადში.

ჩვენს ქვეყანაში მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებას უზრუნველყოფს არა მარტო მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის ზრდა, გლეხების მიერ სოფლის მეურნეობით მიღებული შემოსავლის გადიდება და მასობრივი მოხმარების საქონლის ფასების თანმიმდევრული შემცირება. საბჭოთა სახელმწიფო, გარდა ამისა, უდიდეს სახსრებს ახმარს სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებს, სხვადასხვა სახის დახმარებასა და შეღავათებს. ამ მიზნებისათვის განკუთვნილი სახელმწიფო ხარჯები განუწყვეტლივ იზრდება. 1940 წელს ქალაქისა და სოფლის მშრომელებმა ასეთი დახმარებისა და შეღავათების სახით მიიღეს 40,8 მილიარდი მანეთი, 1951 წელს — 125 მილიარდი მანეთი, 1952 წელს — 129 მილიარდამდე მანეთი.

ჩვენი ქვეყნის მშრომელთა საარსებო დონის განუხრელ ამაღლებას დამაჯერებლად მოწმობს ის ფაქტი, რომ მუშა-მოსამსახურეთა რეალური შემოსავალი, ერთ მომუშავეზე გაანგარიშებით, 1951 წელს დაახლოებით 57 პროცენტით მეტი იყო, ვიდრე 1940 წელს, გლეხთა რეალური შემოსავალი, აგრეთვე ერთ მომუშავეზე გაანგარიშებით, დაახლოებით — 60 პროცენტით მეტი. 1952 წელს მუშა-მოსამსახურეთა შემოსავალი 1951 წელთან შედარებით კვლავ გადიდდა 7 პროცენტით და გლეხთა შემოსავალი — 8 პროცენტით.

ჩვენი პარტიის XIX ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის განვითარების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ, განსაზღვრავენ რა სახალხო მეურნეობის ახალ მძლავრ აღმავლობას, ითვალისწინებენ ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის შემდგომ მნიშვნელოვან ამაღლებას. განზრახულია სსრ კავშირის ნაციონალური შემოსავლის გადიდება ხუთწლედში სულ მცირე 60 პროცენტით, მუშა-მოსამსახურეთა რეალური ხელფასის ზრდა, საცალო ფასების შემცირების გათვალისწინებით, სულ მცირე 35 პროცენტით, კოლმეურნეთა ფულადი და ნატურალური შემოსავლის გადიდება (ფულადი გამოხატულებით) სულ მცირე 40 პროცენტით.

მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება თვალნათლივ ჩანს მოსახლეობის მყიდველობითი უნარის ზრდით და ვაჭრობის ბრუნვის გადიდებით. უკანასკნელი წლების მანძილზე საქონელბრუნვაში მნიშვნელოვნად გადიდდა სამრეწველო საქონლის, განსაკუთრებით ხანგრძლივი სარგებლობის ნაწარმის: ავტომობილების, მოტოციკლების, ველოსიპედების, რადიომიმღებების, ტელევიზორების, ავეჯის, მაცივრების, მუსიკალური ინსტრუმენტების ხვედრითი წონა. მოსახლეობის მოთხოვნილება უბრალო სახის ბამბის ქსოვილებიდან გადადის მაღალხარისხოვან ქსოვილებზე — შალის, აბრეშუმის, ხელოვნური ბოჭკოს და საუკეთესო ხარისხის ბამბეულ ქსოვილებზე.

ითვალისწინებენ რა მშრომელთა მზარდ მყიდველობით უნარს, ყოველდღიურად ზრუნავენ რა მათი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის, პარტია და მთავრობა უზრუნველყოფენ ფართო მოხმარების საქონლისა და კვების პროდუქტების წარმოების განუწყვეტელ აღმავლობას.

მეხუთე ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს მსუბუქი და კვების მრეწველობის შემდგომ დიდ განვითარებას. მათი პროდუქციის წარმოება უნდა გადიდდეს სულ ცოტა 70 პროცენტით. განზრახულია აშენდეს ბამბეულის ბევრი ახალი კომბინატი, ბამბის საწმენდი ქარხნები, ხელოვნური ბოჭკოს ქარხნები, აბრეშუმის, სამკერვალო, ტრიკოტაჟის, ტყავ-ფეხსაცმლის საწარმოები, შაქრის, ზეთსახდელი, ბოსტნეულ-სახმობი ქარხნები, საკონდიტრო, ჩაის, საკონსერვო, ლუდის, ღვინის, ხორცის, თევზის, ერბო-კარაქისა და ყველის მრეწველობის საწარმოები. მეხუთე ხუთწლედის დავალებანი მსუბუქი და კვების მრეწველობის დარგში წარმატებით სრულდება.

ჩვენს ქვეყანაში დიდი ყურადღება ექცევა მასობრივი მოხმარების საქონლის ასორტიმენტის შემდგომ გაფართოებას და ხარისხის გაუმჯობესებას, აგრეთვე სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის ქსელის გაფართოებას. მარტო 1952 წელს გაიხსნა შვიდი ათასამდე ახალი მაღაზია.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა მუდამ ზრუნავენ მშრომელთა საბინაო პირობების გაუმჯობესებისათვის. ჩვენს ქვეყანაში უდიდესი მასშტაბით ხორციელდება საბინაო მშენებლობა. მარტო შარშან სახელმწიფო საწარმოებმა, დაწესებულებებმა და ადგილობრივმა საბჭოებმა, აგრეთვე ქალაქებისა და მუშათა დაბების მოსახლეობამ სახელმწიფო კრედიტის დახმარებით ააშენეს 27 მილიონზე მეტი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები. გარდა ამისა, სოფელ ადგილებში იმავე პერიოდში აშენდა 370 ათასი საცხოვრებელი სახლი.

პარტიის XIX ყრილობის დირექტივებში მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ გათვალისწინებულია სახელმწიფო საბინაო მშენებლობაში კაპიტალურ დაბანდებათა გადიდება დაახლოებით ერთიორად მეოთხე ხუთწლედთან შედარებით. ამასთან ერთად ხორციელდება აუცილებელი ღონისძიებანი ქალაქებისა და მუშათა დაბების მოსახლეობის კომუნალური და საყოფაცხოვრებო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

ჩვენს ქვეყანაში ადამიანები ყველაზე ძვირფასი კაპიტალია. მათი კეთილდღეობა და ბედნიერება საბჭოთა სახელმწიფოს მთავარი საზრუნავია. პარტია და მთავრობა ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევდნენ და აქცევენ ჩვენი ხალხის ჯანმრთელობის დაცვას. წლითიწლობით დიდდება სახელმწიფოს ხარჯები ჯანმრთელობის დაცვაზე, უმჯობესდება მოსახლეობის სამკურნალო და სანიტარულ-პროფილაქტიკური მომსახურება, ფართოვდება საავადმყოფო დაწესებულებების, სამშობიარო სახლების, დისპანსერების, აგრეთვე სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების ქსელი.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ზრუნვა ხალხის კეთილდღეობისათვის მკაფიო გამოხატულებას პოულობს ჩვენს ქვეყანაში კულტურული მშენებლობის ფართო გაქანებით. მოსწავლეთა რიცხვი სსრ კავშირში ამჟამად 57 მილიონ კაცს შეადგენს, ანუ 8 მილიონი კაცით მეტია, ვიდრე 1940 წელს იყო. მნიშვნელოვნად გაფართოებულია შვიდწლიანი და ათწლიანი სწავლება. ახლა ჩვენს ქვეყანაში 800-ზე მეტი უმაღლესი სასწავლებელია, რომლებშიც 1.400 ათასზე მეტი კაცი სწავლობს. იზრდება კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა რიცხვი ქალაქებსა და სოფელ ადგილებში. კომუნისტური პარტია დაუცხრომლად ზრუნავს მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების შემდგომი განვითარებისათვის.

ჩვენს ქვეყანაში მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებაში მიღწეული დიდი წარმატებანი კვ

რედაქციის ფოსტიდან

საჭირბოროტო „წვრილმანებზე“

1. ხვალინდელ ქათამს დღეის კვერცხი არჩიეს...

...მაგრამ თუ დღესვე ხელში ქათამი ჩაუფრინდათ, ამას რაღა სჯობს — არც კვერცხის ლოდინი და არც ქათმისა, პირდაპირ ქათამი!

მოვიდა ფიცრები კლუბის ჭერისა, იატაკისა და აივნისათვის.

„ეჰ, ვიდრე ეს ჭერ-იატაკი და აივანი გაკეთდება, ვიდრე ეს ადამის დროს დაწყებული კლუბი დამთავრდება და შიგ ჩვენები კონცერტებს გამართავენ... არა, ძმაო, მაგას ვერ დაველოდები, ისევ ქათმებს მივხედო, სჯობია!“

და შაქრო ედიშერიძემ, კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, ფიცრების ნაწილს მისამართი შეუცვალა — მეფრინველეობის ფერმისაკენ აქნევინა პირი, ქათმის საბუდრების გასაკეთებლად.

მაგრამ კიდევ დარჩა ფიცრები. დაფიქრდა თავმჯდომარე — საით ახლა ეს ფიცრები?

დიდი ფიქრი აღარ დასჭირდა: პურის გადასაზიდავი ყუთებია გასაკეთებელი. უქნა პირი კიდეც იქითკენ საკლუბე ფიცრებს.

გამოწვეს კირი კლუბისათვის. აბა ვინ შეელევა კირს საკლუბედ, კოლმეურნეობას ცოტა საქმე აქვს გასაკეთებელი?!

საწყალი კლუბი კი დგას ეს რა ხანია უჭერო, უიატაკო, შეულესავი. შიგ ზოგჯერ გზააცდენილი ჩიტები თუ შეფრთხიალდებიან და მორთავენ ჟღურტულს.

მიმდინარე წლის აპრილში კოლმეურნეობა „გამარჯვების“ გამგეობამ დაადგინა — 1 ივნისისათვის დაემთავრებინათ კლუბის კეთილმოწყობა. მაგრამ ასე თუ გაგრძელდა, კიდევ ბევრი ივნისი ჩაუვლის ლალისყურის (თელავის რაიონი) კლუბს. თუმცა ერთი რამ „ამხნევებს“ მას — ბედის მოზიარე გამოუჩნდა — ელექტროკიოსკი, რომელსაც სამი წლის წინათ ჩაეყარა საფუძველი. მისი სამენი მასალებიც ასევე არადანიშნულებისამებრ მიდის. კიოსკისათვის მოზიდული ბოძების ნაწილისაგან გააკეთეს... მეძროხეობის ფერმის საკვები ბაგები, ნაწილი ტრაქტორებს შეაბეს ბელტების გასაფხვიერებლად და ახლა აქა-იქ, ნახნავებში ყრია. ამაოდ ელიან კოლმეურნეები ელექტროშუქს.

შაქრო ედიშერიძე, კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ყოველ საანგარიშო კრებაზე თავს აქნევს და ემოწმება კოლმეურნეებს — კლუბი და ელექტროკიოსკი საჭირო საქმეა, ქათმის საბუდარებზე ნაკლები მნიშვნელობა არა აქვსო, ჰპირდებათ კიდეც — ამ კრების დამთავრებისთანავე მუშაობას გავაჩაღებო.

გულში კი ალბათ ფიქრობს: ერთი, ამ კრებასაც გადავურჩე და მერე მე ვიცი.

ვ. სამციხელი,

სოფელი ლალისყური, თელავის რაიონი.

2. ამგავი ჯაჭვის ხიდისა

ბედი კარზე მოადგა მენავე ვ. წიწაკაშვილს — ადიდებულმა მტკვარმა მოგლიჯა ჯაჭვის ხიდი და გორსა და უფლისციხეს შორის გზა მგზავრს ცხრა კილომეტრით გაუგრძელა — უნდა შემოუაროს, რაკი ხიდი არ არის.

მაგრამ რა გული გიზამს, დაღლილმა ცხრა კილომეტრი ზედმეტი გაიარო — აგერ არ არის ნავი! — ჩაჯექ შიგ. ნიავიც გაგაგრილებს, წიწაკაშვილიც მოუსვამს ნიჩბებს და წუთში გაღმა იქნები. თუმცა, წიწაკაშვილი რომ ნიჩაბს მოუსვამს, შენც ჯიბეზე ხელი უნდა მოისვა, მაგრამ ცოტაზე კი არა... ხუთმანეთიანი გამზადებული უნდა გქონდეს. ადგილობრივი მკვიდრი, თუ ხშირად გიწევს, მტკვარზე გასვლა-გამოსვლა, თვეში 20-დან 30 მანეთამდე იხდი, ხოლო ერთდროული გადასახდელი უცხო პირებზე, როგორც ზემოთ ვახსენეთ, ხუთი მანეთია. ეცადეთ, არ დაგავიწყდეთ, თუ ჩვენკენ მოგიწიათ წამოსვლამ, უფლისციხის კოლმეურნეობის თავმჯდომარის გ. გალუსტაშვილის შედგენილი ეს ნიხრი. თუმცა საქმე ის არის — გალუსტაშვილი ნავს მაშინ ამუშავებს, როცა მოეპრიანება.

ახლა, თუ დაგაინტერესებთ, ჯაჭვის ხიდის ისტორიას გეტყვით მოკლედ:

კოლმეურნეებმა ჯერ კიდევ 1943 წელს შეაგროვეს თანხა, ხიდისათვის საჭირო ხუთი ცალი გვარლი შეიძინეს თითო 300 მეტრი, სულ 1.500 მეტრი სიგრძისა.

რაიონიდან ჩამოვიდა ინჟინერი გვარლების გასაჭიმად. მაგრამ ინჟინერს ნუღა იკითხავთ — კოლმეურნეები ასწავლიდნენ — როგორ გაეკეთებინა. როგორც იქნა, გაჭიმეს გვარლები და გამართეს ჯაჭვის ხიდი, მაგრამ ისე კი არა, როგორც საჭირო იყო.

ამიტომ ერთ დღეს ადიდებულმა მტკვარმა მოგლიჯა ეს ჯაჭვის ხიდი. გვარლები კი ახლაც წყალში ყრია. ინჟინერმა ფული გაინაღდა და თავის გზას გაუდგა.

მკითხველი გვეტყვის. ეს რომ გორის მშრომელთა დეპუტატების რაიონჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. თავზარაშვილმა იცოდეს, დამწაშავეებს პასუხს მოსთხოვს და საქმესაც მალე გააკეთებსო.

იცის, იცოცხლეთ, დიდი ხანია იცის, ხშირად ვაწუხებთ. მაგრამ...

რ. პაპიაშვილი,

სოფელი უფლისციხე, გორის რაიონი.

სამეცნიერო ექსპედიციები

არქეოლოგიური გათხრები

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტს წელს გათვალისწინებული აქვს განახორციელოს რამდენიმე არქეოლოგიური ექსპედიცია.

ინსტიტუტმა განაახლა მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობა ბაგინეთის მიდამოებში და მალე შეუდგება გათხრებს მცხეთის რკინიგზის სადგურთან, იქ, სადაც ანტიკური ხანის შესანიშნავი ხუროთმოძღვრული ძეგლი — აკლდამა იყო აღმოჩენილი.

მცხეთის შესწავლასთან დაკავშირებით წელს იწარმოებს დაწვრილებითი დაზვერვა მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპირო ზოლისა ზემო ავჭალიდან ქსნამდე, რაც საშუალებას იძლევა შესწავლილ იქნას ძველი დედაქალაქის სახელოვანი წარსული, იბერიის სამეფოს ისტორიის უძველესი პერიოდი.

წელს ისტორიის ინსტიტუტი მეცხრედ გზავნის ექსპედიციას მდინარე რიონის სათავეების ძველი მეტალურგიული წარმოების ძეგლთა შესწავლის მიზნით. ექსპედიცია განაგრძობს ძველი მაღაროების გათხრა-შესწავლას სოფელ ბრილის მიდამოებში.

ივლისის პირველი რიცხვებიდან ფართო არქეოლოგიური დაზვერვები დაიწყება ქობულეთისა და ვანის რაიონებში. ამ ექსპედიციას განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება კოლხეთის სამეფოს ისტორიის უძველესი პერიოდის — ანტიკური ხანის ქართული ქალაქებისა და ნამოსახლარების შესასწავლად. ბიჭვინტის, ნაქალაქარის არქეოლოგიური გათხრები გაგრძელდება აგვისტოს შუა რიცხვებიდან. ექსპედიციის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის ისტორიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი.

წელსაც ფართოდ დაიგეგმა ფეოდალური ხანის საქართველოს ნაქალაქართა და ნამოსახლართა შესწავლა. ამ მხრივ განსაკუთრებულ როლს ასრულებს ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიცია, რომელსაც ხელმძღვანელობს ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი პროფესორი ნ. ბერძენიშვილი.

საქართველოს ეთნოგრაფიული შესწავლა

ფართო საველე სამუშაოებია გათვალისწინებული საქართველოს ეთნოგრაფიული შესწავლის ხაზითაც. განზრახულია კომპლექსური ექსპედიციის მივლინება ჩერქეზეთში. ექსპედიციის მიზანია კავკასიის მთიანეთის ხალხთა ეთნოგრაფიული ყოფის შესწავლა, რაც ხელს შეუწყობს მთელი რიგი კულტურულ-ისტორიული და ეთნოგენეტური საკითხების გაშუქებას.

ერთი ექსპედიცია დასავლეთ საქართველოში განაგრძობს ადრე დაწყებულ მუშაობას ქართველი ხალხის ძველი სამეურნეო ყოფის ამსახველი ეთნოგრაფიული მასალის გამოკვლევა-შესწავლაზე.

საველე ეთნოგრაფიული მუშაობის გეგმაში წამყვანი ადგილი აქვს დათმობილი ქართველი ხალხის სოციალისტური ყოფისა და კულტურის შესწავლას. ამ მიზნით ერთი ექსპედიცია გაემგზავრება აჭარა-გურიაში და შეკრებს მასალებს კოლმეურნეთა ახალი საოჯახო ყოფის შესახებ.

ინსტიტუტის მეორე კომპლექსური ეთნოგრაფიული ექსპედიცია იმუშავებს საქართველოს ოთხ რაიონში (ონი, ზუგდიდი, მაიაკოვსკი, წალკა), სადაც იგი გამოაკვლევს ქართველების საცხოვრებელ ნაგებობათა თავისებურებებს და შეისწავლის იმ ცვლილებებს, რომლებიც განიცადა კულტურის ამ მნიშვნელოვანმა ელემენტმა სოციალისტურ საზოგადოებაში.

გორის რაიონში იმუშავებს ერთი ექსპედიცია, რომელიც შეკრებს მდიდარი ქართული მუსიკალური ფოლკლორის მასალებს.

ზუგდიდი. სურათზე: დრამატული თეატრის შენობა.

ფოტო ვ. ზარიძისა.

მშრომელთა დასვენება

7.000 საგზური

წელს ამერკავკასიის რკინიგზის 7.325 მუშაკი დაისვენებს სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში, აქედან ბევრს საზური უფასოდ ეძლევა. რკინიგზელები ისვენებენ კისლოვოდსკში, ესენტუკში, ჟელეზნოვოდსკში, სოჭაში, გაგრაში, ბორჯომში, ლიბანში, აბასთუმანში, სურამში და სხვ.

წელს წყალტუბოს უფასო საგზურები მიეცემა 1.350 რკინიგზელს, ხოლო მენჯის — 500-ს.

რკინიგზელთა ბავშვებისათვის

ამერკავკასიის რკინიგზის მუშაკთა ბავშვების დასვენებისათვის შესანიშნავი პირობებია შექმნილი. რკინიგზელთა 7.525 ბავშვი 7-დან 15 წლის ასაკამდე წელს ზაფხულს გაატარებს მათთვის სპეციალურად მოწყობილ პიონერთა 14 ბანაკში შავი ზღვის სანაპიროზე — ახალ ათონში, გუდაუთში, ლესელიძეში, აგრეთვე წაღვერში, მცხეთაში, წყნეთში და კასპის ზღვის სანაპიროს კურორტებზე.

წყნეთის პიონერთა ბანაკის მეორე ცვლაში დაისვენებენ VIII—X კლასების მოსწავლე გოგონები, ხოლო მესამე ცვლაში — ვაჟები.

რკინიგზელთა სკოლამდელი ასაკის 600 ბავშვი ზაფხულს გაატარებს ახალდაბაში, ლიკანში, ცემში, ტბაზე, ნორ-ბაიაზეთში და სხვ.

ქვიშხეთის პიონერთა განაკში

ხაშური. („კომუნისტის“ კორ.). ბერიას სახელობის ქვიშხეთის რესპუბლიკურ პიონერთა ბანაკი 20 წელზე მეტია არსებობს. ზაფხულის სეზონი მიმდინარე წლის 10 ივნისს დაიწყო. აქ ერთდროულად 300-ზე მეტი ახალგაზრდა ისვენებს. მათ შორის შეხვდებით ჩვენი რესპუბლიკის ყველა კუთხიდან ჩამოსულ მუშების, გლეხებისა და მოსამსახურეთა შვილებს.

ქვიშხეთის მომხიბლავი ბუნება, სუფთა ჰაერი და ანკარა ცივი სასმელი წყალი, კარგი კვება და მოვლა საუკეთესო პირობებია ბავშვთა გაჯანსაღებისათვის.

დასვენებასთან ერთად პიონერ-მოსწავლეები აქტიურ შემოქმედებითს მუშაობას ეწევიან. ისინი გაერთიანებული არიან ლიტერატურის, ისტორიის, ნორჩ მიჩურინელთა, ძერწვის, ხელსაქმის, ფოტოსაქმის, რადიოს, სასოფლო-სამეურნეო საქმის შემსწავლელ წრეებში.

წრის წევრებმა ნახეს უკრაინული ლიტერატურის კლასიკოსის ლესია უკრაინკას სახლ-მუზეუმი დაბა სურამში, სასოფლო-სამეურნეო მანქანების შემსწავლელმა წრემ მოაწყო ექსკურსია ხაშურის მტს-ში.

„გავამრავლოთ ღონისძიებანი მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლაში“

ბერლინის სახალხო საწარმოს „ბერგმან-ბორზიგის“ კოლექტივის მიმართვა მოსკოვის ვლადიმერ ილიას-ძის სახელობის ქარხნის კოლექტივისადმი

ბერლინი, 3 ივლისი. (საკდესი). ბერლინში გაიმართა ბერლინის სახალხო საწარმოს „ბერგმან-ბორზიგის“ კოლექტივის ხალხმრავალი კრება, რომელზეც განხილულ იქნა მოსკოვის ვლადიმერ ილიას-ძის სახელობის ქარხნის კოლექტივის მიმართვა.

საპასუხო მიმართვაში, რომელიც კრების მონაწილეებმა მიიღეს, ნათქვამია:

თქვენი წერილი ჩვენდამი, სახალხო საწარმოს „ბერგმან-ბორზიგის“ მუშებისადმი, ჩვენს ქარხანაში სიხარულითა და მოწონებით მივიღეთ. იგი ადასტურებს მტკიცე გულითად კავშირს საბჭოთა ხალხსა და ჩვენი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ყველა მშრომელს შორის. ჩვენდამი მომართული თქვენი სიტყვები ძალას გვმატებენ მშვიდობის შენარჩუნებისათვის და ყველა იმ ცდის წინააღმდეგ საბრძოლველად, რომ ხელი შეუშალონ ჩვენს მშვიდობიან მშენებლობას. ფაშისტური ელემენტების ცდა — 17 ივნისს მოეხდინათ პუტჩი, რათა გაეჩაღებინათ ამერიკელ იმპერიალისტთა მიერ დაგეგმილი ომი მშვიდობისმოყვარე ხალხთა წინააღმდეგ, სამარცხვინოდ ჩაიფუშა. 17 ივნისის ამბებმა მსოფლიოს ყველა მშვიდობისმოყვარე ადამიანს უჩვენა, თუ როგორ ამზადებდნენ „იქს დღეს“ იმპერიალისტები და მათი გერმანელი ხელშემწყობნი — ადენაუერი და კომპანია.

თქვენი სოლიდარობა ჩვენთან, ნათქვამია შემდეგ მიმართვაში, მოწმობს, რომ მშვიდობის ძალები უფრო ძლიერი არიან, ვიდრე ომის ძალები. თქვენი სახით ჩვენ ძლიერი მოკავშირეები გვყავანან მშვიდობისა და ჩვენი სამშობლოს ერთიანობის აღდგენისათვის ერთობლივ ბრძოლაში.

შემდეგ მიმართვაში ნათქვამია, რომ ქარხანა „ბერგმან-ბორზიგის“ კოლექტივი, რომელმაც სიხარულით მიიღო ვლადიმერ ილიას-ძის სახელობის ქარხნის კოლექტივის წერილი, მადლობას უძღვნის მას სოლიდარობისათვის და არწმუნებს, რომ მზად არის შეასრულოს თავისი შემდგომი ამოცანები, რომლებიც დასახულია ხუთწლიანი გეგმით. ეს გეგმა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებს უჩვენებს კეთილდღეობის გზას და წარმოადგენს ერთიანი, მშვიდობისმოყვარე და დემოკრატიული გერმანიის აშენებისათვის ბრძოლის გეგმას.

მშვიდობის მთელ ბანაკთან ერთად, რომელსაც საბჭოთა კავშირი მეთაურობს, აღნიშნულია მიმართვაში, ჩვენ გავაძლიერებთ ღონისძიებებს მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

ძვირფასო ამხანაგებო და მეგობრებო! ჩვენ, ჩვენი ქარხნის მუშები, მოსამსახურეები, ტექნიკოსები და ინჟინრები, მადლობას მოგახსენებთ თქვენი სოლიდარობისათვის. მტკიცედ დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი ერთობლივი ბრძოლა მშვიდობის შენარჩუნებისა და ჩვენი სამშობლოს ერთიანობის აღდგენისათვის გამარჯვებით დაგვირგვინდება. გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენ, სახალხო საწარმოს „ბერგმან-ბორზიგის“ მუშები, ჩვენი მშვიდობიანი შრომით ხელს ვუწყობთ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ეკონომიური მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესების მიღწევას.

მიმართვის დასასრულს საწარმოს კოლექტივი კისრულობს გააძლიეროს სიფხიზლე, რათა არ დაუშვას 1953 წლის 17 ივნისის ამბების გამეორება.

ჩვენ ვიზრუნებთ იმისათვის, ნათქვამია მიმართვაში, რომ კრუპები, ტისენები და სხვა მონოპოლისტები ვეღარასოდეს ვერ შეასხდნენ ზურგზე მუშათა კლასს და კვლავ ვეღარ დაეუფლონ ჩვენს სახალხო საწარმოს.

ძიოს ომის გამჩაღებლები!

გაუმარჯოს გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობას!

ჩაიშუშა ადენაუერის ცდა საპარლამენტო ხელშეუხებლობა წაერთმია გერმანიის კომუნისტური პარტიის დეპუტატებისათვის ბუნდესტაგში

ბერლინი, 3 ივლისი. (საკდესი). ადენ-ის საგგენტო ბონიდან იუწყება, რომ ადენაუერის ცდა — საპარლამენტო ხელშეუხებლობა წაერთმია კომუნისტი დეპუტატებისათვის ბონის ბუნდესტაგში ჩაიფუშა. მთელ გერმანიაში მასობრივი საპროტესტო მოძრაობის ზეგავლენით ბუნდესტაგის უხუცესთა საბჭომ ვერ გაბედა ბუნდესტაგის განსახილველად გამოეტანა შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ ხელშეუხებლობა წაერთმიათ გერმანიის კომუნისტური პარტიის ფრაქციის დეპუტატების — მაქს რაიმანის, ვალტერ ფიშის, ოტო ნიბერგალის, ჰერტრუდა შტრობახის, გრეტა ტილეს, ჰუგო პაულის, ოსკარ მიულერის, ფრიც რიშეს, ვილი ოგანესა და პაულ ჰარიგისათვის.

საერთაშორისო მიმოხილვა

მსოფლიოს მშრომელთა საპროტესტო ხმა

ბერლინში მომხდარი ფაშისტური პროვოკაციის გამო დიდმა აღშფოთებამ მოიცვა ყველა ქვეყნის ხალხთა უფართოესი მასები. პროგრესულმა კაცობრიობამ ბერლინის 17 ივნისის ამბები შეაფასა როგორც ყველაზე რეაქციული იმპერიალისტური წრეების ცდა — ჩაეფუშათ საერთაშორისო დაძაბულობის ლიკვიდაციის მომწიფებული და სავსებით რეალური შესაძლებლობა. მშვიდობის მსოფლიო საბჭომ ბუდაპეშტში თავის სესიაზე აღნიშნა, რომ მოლაპარაკების იდეა, საერთაშორისო დავისა და უთანხმოებათა მშვიდობიანი გადაჭრის იდეა დაეუფლა ხალხთა მასებს, მას მხარს უჭერს აგრეთვე ბურჟუაზიის ბევრი პოლიტიკური მოღვაწე. სწორედ ამიტომ მშვიდობის მტრებმა ერთსა და იმავე დროს მოაწყეს ბერლინსა და სამხრეთ კორეაში პროვოკაციები, რომელთა მიზანი ერთი იყო — ხელი შეეშალათ მშვიდობის სულ უფრო მზარდი ძალებისათვის საერთაშორისო დაძაბულობის შენელების მიღწევაში.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობის დიდმა უმრავლესობამ აქტიურად შეუწყო ხელი აღმოსავლეთ ბერლინში ფაშისტური ბანდების ლიკვიდაციას, უცხო სახელმწიფოთა აგენტების მხილებას. რესპუბლიკის მუშები და ყველა მშრომელი მხურვალედ უჭერენ მხარს თავიანთი მთავრობის ღონისძიებებს, რომელთა მიზანია დემოკრატიული წყობილების შემდგომი განმტკიცება და გერმანელი ხალხის ცხოვრების დონის ამაღლება. გერმანიის მშრომელებს აღფრთოვანებს საბჭოთა ხალხის მხარდაჭერა, სხვა ქვეყნების ხალხთა თანაგრძნობა და სოლიდარობა.

„მეგობრობისა და სოლიდარობის მრავალმილიონიანი ხმა, რომელიც საბჭოთა კავშირიდან მოისმის, — წერს გერმანული გაზეთი „ნოიეს დოიჩლანდი“, — კიდევ უფრო მეტ საფუძველს გვაძლევს გავიმსჭვალოთ იმ შეგნებით, რომ ჩვენ ვართ შემადგენელი ნაწილი მშვიდობის მძლავრი ბანაკისა, რომლის ძალები მხარს უჭერენ ჩვენს სამართლიან ბრძოლას მშვიდობის, ერთიანობისა და დემოკრატიისათვის“.

პოლონეთიდან, რუმინეთიდან, უნგრეთიდან, ჩინეთიდან, საფრანგეთიდან, ინგლისიდან და იტალიიდან ბერლინში და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სხვა ქალაქებში მოისმის ხმა მეგობრებისა, რომლებიც აღშფოთებული არიან ფაშისტური გამოხდომებით და სოლიდარობას უცხადებენ გერმანიის პროგრესული ძალების ბრძოლას.

დამახასიათებელია, რომ დასავლეთ გერმანიაშიც, სადაც ამერიკული და ადენაუერის პრესა ყოველნაირად ცდილობს დამახინჯებულად წარმოადგინოს ბერლინის ამბების ხასიათი, მუშების უმრავლესობამ სწორად შეაფასა ეს ამბები. ადენაუერის ხროვის ცდას — აეძულებინა დასავლეთ გერმანიის მუშები პატივი იცათ პროვოკაციის მონაწილეთათვის, დუისბურგში სპილენძსადნობი ქარხნის მუშებმა უპასუხეს: „ჩვენ არა გვსურს პატივისცემით აღვნიშნოთ რაიხსტაგისათვის მეორე ცეცხლწაკიდება“. ჩურის მეშახტეები ამბობენ: „ჩვენ, ჩურის მაღაროელებს, ვერ გვაიძულებენ სოლიდარობა გამოუცხადოთ ტერორისტებსა და ცეცხლწამკიდებლებს“. დიუსელდორფიდან (დასავლეთი გერმანია) იუწყებიან, რომ ძალიან იმატა გერმანიის კომუნისტურ პარტიაში ახალ წევრთა შესვლამ. ეს არის მუშების პასუხი ბერლინის ამბებზე.

ამრიგად, ჩაიფუშა ფაშისტი აგენტებისა და უცხოეთის დაქირავებული აგენტების ცდა პროვოკაციულად გამოეწვიათ პუტჩი ბერლინში. ლეგბორისტი მოღვაწე კროსმენიც კი ლონდონის გაზეთ „სანდი პიკტორიელში“, გმობს რა საერთაშორისო რეაქციის ცდას — გააჩაღოს ომი ევროპაში, წერს: „ნამდვილი უგუნურება იქნებოდა იმის ცდა, რომ ცივი ომი გადაგვექცია ცხელ ომად გერმანიაში ამ დროს, როცა, როგორც ჩანს, გაჩნდა მშვიდობის დამყარების შანსები“.

მაგრამ იმპერიალისტური ბანაკის ყველაზე აგრესიული და რეაქციული ელემენტება არა ცხრებიან. გერმანიიდან იუწყებიან, რომ დასავლეთ ბერლინში კვლავ მოქმედებენ „ახალგაზრდობის კლუბები“, რომლებსაც ამერიკელები აფინანსებენ და რომლებშიც აწვალიან მკვლელობას, ცეცხლის წაკიდებასა და ძარცვას. ამერიკის პრესა ამ დღეებში ცინიკურად მსჯელობს სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში დივერსიებისა და პროვოკაციების შემდგომი მოწყობის „შესაძლებლობაზე“.

ფაქტები მოწმობენ მშვიდობის მტერთა ახალ დანაშაულებრივ ზრახვებს. ყველა ქვეყნის ხალხთა მასები აძლიერებენ თავიანთ აუორადღებასა და სიფხიზლეს. ომის გამჩაღებელთა ხრიკები აწყდება ხალხთა სულ უფრო მზარდ გადაწყვეტილებას — დაიცვან მთელ მსოფლიოში მშვიდობის საქმე.

იტალიის მუშათა კლასის მოთხოვნები

კაპიტალისტური დასავლეთ ევროპის ერთ-ერთ უდიდეს ქვეყანაში — იტალიაში შეიქმნა ვითარება, რომელიც ფრიად დამახასიათებელია ეგრეთწოდებულ „ატლანტიკის“ სახელმწიფოთა მთელი ბანაკისათვის. პარლამენტის 7 ივნისის არჩევნებმა საკმაოდ ცხადყო, რომ შეიარაღების, ახალი ომის მომზადებისა და ევროპის ხალხთა ეკონომიური და პოლიტიკური დამონების ამერიკულმა პოლიტიკამ საყოველთაო-სახალხო სიძულვილი დაიმსახურა. ქრისტიან დემოკრატთა პარტიამ, რომელიც მხარს უჭერს ამ პოლიტიკას, არჩევნებში გაცილებით უფრო ნაკლები ხმა მიიღო, ვიდრე 1948 წელს, და დაკარგა აბსოლუტური უმრავლესობა სენატსა და პარლამენტში. მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვეს იტალიის კომუნისტურმა პარტიამ და სოციალისტურმა პარტიამ. მათ თავიანთი წარმატებით მოსპეს ანტიდემოკრატიული საარჩევნო კანონი, რომელიც მიღებული იყო წინანდელი უმრავლესობის მიერ და ნაკარნახევი იყო ამერიკიდან.

იტალიაში შეიქმნა პოლიტიკურმა ვითარებამ საშუალება მისცა იტალიის შრომის საყოველთაო კონფედერაციას, რომელიც თავის რიგებში აერთიანებს მშრომელთა მრავალმილიონიან მასებს, განესაზღვრა და ჩამოყალიბებინა თავისი მოთხოვნები მთავრობისა და პარლამენტისადმი. ეს მოთხოვნები შეესაბამება იტალიელი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს, რომელსაც ტანჯავს შეიარაღებასთან დაკავშირებული უზომოდ დიდი გადასახადები, ამერიკის მონოპოლიების ეკონომიური ექსპანსია და ამით გამოწვეული უმუშევრობა.

იტალიის შრომის საყოველთაო კონფედერაციის ხელმძღვანელი კომიტეტის ამასწინანდელ სესიაზე წამოყენებულ იქნა შემდეგი ძირითადი მოთხოვნები, რომელთა დასაცავად იგი იბრძოლებს. ეს არის, ჯერ-ერთი, ნაციონალური შემოსავლის უფრო სამართლიანი განაწილება ხელფასის, პენსიების, დახმარებისა და სოციალური დაზღვევის საერთო გადიდების გზით, საგადასახადო რეფორმით, რომლის სიმძიმე უნდა დაეკისროთ კაპიტალისტებსა და ენმამულეებს და არა მშრომელებსა და საშუალო ფენებს. მეორე ეს არის ქალაქისა და სოფლის მშრომელთა მიმართ ყოველგვარი თვითნებობისა და შევიწროების სრული და დაუყოვნებელი შეწყვეტა.

მოთხოვნები, რომლებიც საშინაო პოლიტიკას შეეხება, განუყრელად დაკავშირებულია სხვა მოთხოვნებთან — საგარეო პოლიტიკის დარგში. იტალია უნდა ჩაებას იმ ღონისძიებებში, რომელთა მიზანია საერთაშორისო დაძაბულობის შენელება. საჭიროა განხორციელდეს ახალი ეკონომიური და საგარეო-სავაჭრო პოლიტიკა; მისი მიზანი უნდა იყოს წარმოებისა და მოხმარების გადიდება და უარისთქმა უცხოეთის მონოპოლიებისადმი მონურ დამორჩილებაზე.

იტალიის მუშათა კლასი არ იქმნის ილუზიებს იმის შესახებ, რომ იტალიის პარლამენტის ახლანდელ შემადგენლობას შეუძლია სავსებით დააკმაყოფილოს ეს მოთხოვნები. „უწინარეს ყოვლისა, უნდა ვიქონიოთ მასების პროფკავშირული მოქმედების იმედი“, — განაცხადა იტალიის შრომის საყოველთაო კონფედერაციის გენერალურმა მდივანმა ჯუზეპე დი ვიტორიომ.

ამ გაფრთხილების სამართლიანობას ადასტურებს იტალიის მმართველი წრეებისა და ქრისტიან დემოკრატთა პარტიის ლიდერების მანევრები. ამ პარტიამ, რომელსაც პარლამენტსა და სენატში ამჟამად დეპუტატთა ადგილების 40 პროცენტზე ცოტა მეტი აქვს, დაკარგა წინანდელი რწმენა: იგი ახლა იძულებულია დაეყრდნოს მერყევ უმრავლესობას, რომელშიც სხვადასხვა წვრილი პარტიები შედიან. მაგრამ მის ლიდერებს კვლავ არა სურთ ანგარიში გაუწიონ იტალიელი ხალხის ნათლად გამოხატულ მისწრაფებას მშვიდობის, სოციალური სამართლიანობისა და ეროვნული დამოუკიდებლობისადმი. დე გასპერიმ აშკარად განაცხადა, რომ იგი უარს ამბობს „წავიდეს ამერიკანიზმის საწინააღმდეგო მიმართულებით“. ამით იგი წინასწარ აცხადებს უარს იტალიის მუშათა კლასის მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე და აღიარებს, რომ მისი პოლიტიკა დამოკიდებულია უცხო სახელმწიფოზე.

ამავე დროს ამერიკული პრესის ორგანოებიც კი აღიარებენ უკანასკნელ ხანებში, რომ სწორედ „ამერიკანიზმის“ გამო არაპოპულარული ხდება დასავლეთ ევროპის ყველა რეაქციული მოღვაწე, და რომ ეს „ამერიკანიზმი“, კერძოდ, არჩევნებში ქრისტიან დემოკრატთა დამარცხების მიზეზი გახდა. სწორედ ამ დღეებში ამერიკული ჟურნალის „ნიუს-უიკის“ გამომცემელმა მიუირმა ნიუ-იორკში განაცხადა, რომ ევროპაში „ამერიკელთა პრესტიჟი ახლა უფრო დაბლა დაეცა, ვიდრე ოდესმე“.

იტალიის მთელი პოლიტიკური ვითარება ცხადყოფს, რომ მის ხალხს სურს მშვიდობა, სძულს ომი, სძულს უცხოელი მჩაგვრელები და მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი იბრძოლოს იმათ წინააღმდეგ, ვისაც არა სურს ანგარიში გაუწიოს ამ მოთხოვნებს.

ინდონეზიის მთავრობის კრიზისის გამო

ხალხის მასების გაზრდილ ძალას მოწმობს აგრეთვე მთავრობის კრიზისი ინდონეზიაში, რაც ერთ თვეზე მეტია გრძელდება. 2 ივნისს გადადგა მთავრობა, რომელსაც ვილოპო მეთაურობდა და რომელშიც მონაწილეობას იღებდა ინდონეზიის ორი უდიდესი პარტია — ეროვნული პარტია და მიშუმის პარტია. მაშინ როცა მიშუმის რეაქციული პარტია, რომელსაც მხარს უჭერენ მემარჯვენე სოციალისტები, ანორციელებს იმპერიალისტურ სახელმწიფოთა მოთხოვნებისადმი ინდონეზიის დაქვემდებარების პოლიტიკას, ეროვნული პარტია, რომელიც მოქმედებს სხვა პროგრესულ პარტიებთან კავშირში, ყურს უგდებს ხალხის ხმას. მთავრობის გადადგომის უშუალო საბაბი გახდა შინაგან საქმეთა მინისტრის რუმის (მიშუმის პარტია) განზრახვა დაუბრუნოს უცხოეთის კომპანიებს ის მიწები, რომლებსაც ახლა 23 ათასი ინდონეზიელი გლეხი ამუშავებს კუნძულ სუმატრაზე. ამის წინააღმდეგ გაილაშქრეს ეროვნულმა პარტიამ და პარლამენტის უმრავლესობამ. მიშუმის პარტიამ საყოველთაო უკმაყოფილება გამოიწვია აგრეთვე უცხოეთის ნავთობის კონცესიების ნაციონალიზაციისათვის წინააღმდეგობის გაწევით.

მთელი თვის განმავლობაში ახალი კაბინეტის შედგენის პროცესში გამორკვა, რომ შეუძლებელია ორი ესოდენ საწინააღმდეგო პოლიტიკური დაჯგუფების პროგრამის შეთანხმება, როგორიც არის მიშუმის პარტია და ეროვნული პარტია. პარლამენტში არც ერთ მათგანს არ მოპოვება აბსოლუტური უმრავლესობა. პრეზიდენტმა სუკარნომ მთავრობის შედგენა დაავალა ეროვნული პარტიის ერთ-ერთ ლიდერს — ყოფილ საგარეო საქმეთა მინისტრს მუკარტო ნოტოვიდიგდოს. ამ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირეს ინდონეზიის პროგრესულმა ძალებმა. მაგრამ მუკარტოს ცდებს — დაყრდნობოდა მტკიცე უმრავლესობას პარლამენტში წვრილ დაჯგუფებებთან შეთანხმების გზით — პირველ ხანებში წარმატება არ მოჰყვა, რადგან ამას ყოველნაირად უშლის ხელს ინდონეზიის კომპრადორული ბურჟუაზია.

პოლიტიკური ბრძოლა ინდონეზიაში თვალნათლივ გვიჩვენებს, თუ რამდენად გართულდა იმპერიალისტებისა და მათი დამქაშების ამოცანები დამოკიდებულ ქვეყნებში. ცნობილია, რომ ინდონეზიის ახალმა მთავრობამ უნდა მოაწყოს არჩევნები დამფუძნებელი კრებისა, რომელიც, ბოლოს და ბოლოს, შეიმუშავებს რესპუბლიკის მუდმივ კონსტიტუციას. ბევრი რამ არის დამოკიდებული იმაზე, თუ ვინ იქნება ხელისუფლების სათავეში ამ მნიშვნელოვან პერიოდში. ეს არის მთავარი მიზეზი მთავრობის ესოდენ ხანგრძლივი, გაჭიანურებული კრიზისისა ინდონეზიაში, რომლის ხალხს არ შეუწყვეტია ბრძოლა ნამდვილი თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის.

ბ. ლეონტიევი.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო კრების სესიაზე

ბუდაპეშტი, 3 ივლისი. (საკდესი). დღეს გაიხსნა სესია ახალი მოწვევის სახელმწიფო კრებისა, რომელიც არჩეულია ამა წლის 17 მაისს.

უნგრეთის დამოუკიდებლობის სახალხო ფრონტის წინადადებით სესიამ სახელმწიფო კრების თავმჯდომარედ ერთხმად აირჩია შანდორ რონაი, მოადგილეებად — იოანეფ მეკიში და იოანეფ ნად-იშტოკი, აგრეთვე მდივნები.

შანდორ რონაიმ დიდი მადლობა გამოთქვა მისთვის აღმოჩენილი ნდობის გამო და იკისრა პატიოსნად ემსახუროს თავის პოსტზე ხალხის ინტერესებს.

შემდეგ არჩეულ იქნა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმი იმ შემადგენლობით, რომელიც აგრეთვე წარადგინა დამოუკიდებლობის სახალხო ფრონტმა. პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩეულია იშტვან დობი, თავმჯდომარის მოადგილეებად — იოანეფ რევაი და დანიელ ნადი, პრეზიდიუმის მდივნად — ივანე დარაბოში.

ჩილელ მეშახტეთა განცხადება საბჭოთა კავშირში ყოფნის შესახებ

მონტევიდეო, 3 ივლისი. (საკდესი). ჩილის გაზეთმა „ელ სიგლომ“ გამოაქვეყნა ამას წინათ საბჭოთა კავშირიდან დაბრუნებული ჩილელი მეშახტეების ხუან გონსალესის, ლუის ერერასა და პედრო უგარტეს განცხადებები, რომლებშიც მათ გაუზიარეს მკითხველებს შთაბეჭდილებანი სსრ კავშირში ყოფნის შესახებ.

ჩილელი მეშახტეები აღტაცებით ახასიათებენ საბჭოთა კავშირს, საბჭოთა მუშების ცხოვრების მაღალ დონეს, მუშათა ბინების კეთილმოწყობას, რომლებიც მათ ნახეს სტალინგრადში. განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მათზე სტალინგრადის აღდგენის სწრაფმა ტემპმა, სტალინგრადის სატრაქტორო ქარხნის მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საუკეთესო ხარისხმა, მისი 17 ათასი მუშის ბედნიერმა და კულტურულმა ცხოვრებამ.

საბჭოთა კავშირი, განაცხადეს გონსალესმა, ერერამ და უგარტემ იბრძვის მშვიდობისათვის, მსოფლიოს ყველა ქვეყანასთან საქმიანი ურთიერთობისათვის.

სამშობლოში დაბრუნდნენ იაპონიაში მცხოვრები ჩინელები

პეკინი, 3 ივლისი. (საკდესი). სინხუას სააგენტოს კორესპონდენტმა 2 იულის ტიანძინიდან გადმოგვცა, რომ ტანგუს ნავსადგურში იაპონიის გემით—„კოან-მარუ“ ჩამოვიდა იაპონიაში მცხოვრებ ჩინელთა პირველი ჯგუფი, სულ 551 კაცი. შემდეგ ისინი სპეციალური მატარებლით გაემგზავრნენ ტიანძინს, სადაც მათ გულთბილი მიღება მოუწყეს. სამშობლოში დაბრუნებულ ჩინელებს შეხვდნენ ადგილობრივ სახალხო ხელისუფალთა წარმომადგენლები, დემოკრატიული პარტიებისა და სახალხო ორგანიზაციების ხელმძღვანელი მუშაკები, ქალაქის მუშების, სტუდენტების, ქალებისა და სამრეწველო წრეების წარმომადგენლები.

საფრანგეთის ეროვნულ კრებაში

პარიზი, 3 ივლისი. (საკდესი). გუშინ ეროვნული კრების სხდომაზე ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ინდოჩინური პიასტრებით სპეკულაციის გამომკვლევი საპარლამენტო კომისიის შექმნის შესახებ. ამ სკანდალურ საქმეში ჩარეული აღმოჩნდა ბევრი დიდი თანამდებობის პირი. ეს გადაწყვეტილება მიღებულ იქნა იმ წინადადების შესაბამისად, რომელიც 12 მაისს ჟაკ დიუკლომ, ეტიენ ფაჟონმა და სხვა კომუნისტმა დეპუტატებმა შეიტანეს.

როგორც ცნობილია, სპეკულანტები თავიანთ „ოპერაციებში“ იყენებდნენ იმ განსხვავებას, რაც პიასტრის კურსსა და ფრანკს შორის არსებობდა ინდოჩინეთსა და საფრანგეთში.

ეროვნული კრების სხდომაზე გუშინ გამოსულმა კომუნისტმა დეპუტატმა კრიეელ-ვალრიმონმა ცხადყო, რომ 1950 წლის თებერვალში მარიონეტული იმპერატორის ბაო დაისა და მისი ოჯახის სპეკულაციური ოპერაციებისათვის ინდოჩინეთიდან საფრანგეთში გამოგზავნეს 176.500 ათასი ფრანკი, რომ ერთი წლის მანძილზე დე გოლის პარტიის საპარლამენტო ჯგუფის თავმჯდომარემ დიეტელმმა ამ ოპერაციებით 28.878 ათასი ფრანკი მოიგო.

დეგოლელი დრონი შეეცადა ხელი შეეშალა საპარლამენტო კომისიის შექმნისათვის და წინადადება შეიტანა, რომ საქმე-გამოკვლევა დამთვლელ პალატას. მან აგრეთვე მოითხოვა, რომ „ამ საქმის გარშემო ხმაური არ შექმნილიყო“. მაგრამ მისი წინადადება არ მიიღეს. შემდეგ საახალხო მოძრაობის რესპუბლიკური პარტიის (კათოლიკური პარტია) წევრმა ჟიუგლასმა გაიღაშქრა იმის წინააღმდეგ, რომ კომისია შეიქმნას პროპორციული წარმომადგენლობის პრინციპის თანახმად; ამ გზით იგი ვარაუდობდა, რომ კომისიაში არ მოხვდებოდნენ კომუნისტები. მაგრამ საბოლოო ანგარიშით კომუნისტების წინადადება ერთხმად იქნა მიღებული.

საფრანგეთის უცხოელთა ლეგიონი ინდო-ჩინეთში

ვენა, 4 ივლისი. (საკდესი). გაზეთმა „ესტერრაიხიშე ფოლკსშტიმმე“ გამოაქვეყნა ნაამბობი 26 წლის ავსტრიელის იოჰან ციმერმანისა, რომელიც საფრანგეთის უცხოელთა ლეგიონში მსახურობდა.

ციმერმანმა განაცხადა, რომ იგი წაყვანილ იქნა კრემსში (ქვემო ავსტრია) 1950 წლის 6 აპრილს. ამავე წლის სექტემბერში იგი სხვა შეგროვებულ ავსტრიელებთან და გერმანელებთან ერთად წაიყვანეს ინდო-ჩინეთში, სადაც მონაწილეობას იღებდა ვიეტნამის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის წინააღმდეგ ბრძოლებში.

მე, ამბობს ციმერმანი, საფრანგეთის საოკუპაციო ჯარების მიერ ინდო-ჩინეთში ჩადენილი მხეცობისა და ძალადობის მოწმე გავხდი. სპეციალური რაზმები ცეცხლს უკიდებდნენ სოფლებს და სპობდნენ მთელ მოსახლეობას — ქალებს, მოხუცებსა და ბავშვებს. ვიეტნამის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ტყვედ ჩავარდნილ მებრძოლებს ველურად აწამებდნენ. ცდილობდნენ რა მიეღოთ ტყვეებისაგან ცნობები სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის შესახებ, ფრანგი ოფიცრები, რომლებიც დაკითხვას აწარმოებდნენ, მიმართავდნენ ყველაზე საშინელ წამებას, ისინი სცემდნენ ვიეტნამელებს, აჭრიდნენ ყურებს, ცხვირს, ტანში უშვებდნენ მაღალი ძაბვის დენს.

ბრძოლებში ციმერმანი დაიჭრა. მკურნალობის შემდეგ მან მოახერხა გაქცეულიყო და ავსტრიამდე მიეღწია.

დასავლეთ გერმანიის გაზეთი საფრანგეთის უცხოელთა ლეგიონში მყოფი გერმანელების შესახებ

ბერლინი, 4 ივლისი. (საკდესი). აღნ-ის სააგენტო ჰაიდელბერგიდან იუწყება, რომ საფრანგეთის უცხოელთა ლეგიონში შეგროვებული და ვიეტნამს გაგზავნილი 88 ათასი ახალგაზრდა გერმანელიდან 22 ათასი კაცი დაიღუპა. 17 ათასი დასახიჩრებული დაბრუნდა. ეს ჩანს ჰაიდელბერგის გაზეთ „რაინ-ნეკარ-ციტუნგში“ გამოქვეყნებული ცნობიდან.

საბჭოთა ფილმ „დიდი კონცერტის“ წარმატება ავსტრალიაში

სიდნეი, 3 ივლისი. (საკდესი). ორი კვირის განმავლობაში მელბურნში დიდი წარმატებით უჩვენებდნენ საბჭოთა ფილმ „დიდ კონცერტს“. გაზეთები ბეჭდავენ აღტაცებულ გამოხმაურებას ფილმის შესახებ.

დოლარის ქვეყანაში



იმპერიალისტური რეაქციის შეტევა მშრომელთა საარსებო დონესა და სოციალურ უფლებებზე მუშათა კლასის გადამწყვეტ წინააღმდეგობას აწყდება. პრესას და რადიოს ყოველდღიურად მოაქვთ ამბები კაპიტალისტურ ქვეყნებში გაჩაღებული საგაფიცვო მოძრაობის შესახებ.

ახალი მსოფლიო ომის მომზადების პოლიტიკა, რასაც იმპერიალისტური მთავრობები ახორციელებენ, ამავე დროს არის მშრომელთა გაძარცვის, სიღატაკისა და შიმშილის პოლიტიკა. ცხოვრების მიერ მრავალჯერ დასაბუთებული ამ ჭეშმარიტების შეგნებას მილიონობით მშრომელი იმ დასკვნამდე მიჰყავს, რომ აუცილებელია პოლიტიკური ბრძოლის, უმუშევრობისა და სიღატაკის გამომწვევი მიზეზების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება.

სულ უფრო ძლიერდება ამერიკის შეერთებული შტატების პროლეტარიატის საგაფიცვო ბრძოლა. მილიტარიზაციის პოლიტიკა დოლარის სამეფოში აუარესებს მშრომელთა მდგომარეობას, რაც კიდევ უფრო მძაფრ უკმაყოფილებას იწვევს ამერიკის მუშათა კლასში.

1952 წელს მარტო ორი თვის განმავლობაში გაფიცვებთან დაკავშირებით ამერიკის შეერთებული შტატების მრეწველობაში დაიკარგა 25,5 მილიონი სამუშაო დღე. გაფიცვების რაოდენობამ საშუალოდ თვეში 265-ს მიაღწია.

მუშების მოთავარი მოთხოვნაა ხელფასის გადიდება. ამ მოთხოვნას საფუძვლად უდევს სიძვირის განუხრელი ზრდა.

სურათზე. ამერიკის ერთ-ერთი შტატის სპილენძის მაღაროების გაფიცული მუშები საკუთარი სხეულით უღობავენ სატვირთო მატარებელს მაღაროსაკენ მიმავალ გზას.

კორეის ამბები

სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 3 ივლისი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ დღეს გამოაქვეყნა ცნობა:

განვლილი დღის მანძილზე სახალხო არმიის ნაწილები ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებს ეწეოდნენ ხგამნეწის, კახორისა და პენამდონის რაიონებში. ამ ბრძოლებში მოწინააღმდეგეს მნიშვნელოვანი ზარალი მოუვიდა.

გუშინ ღამით ამერიკელთა თვითმფრინავებმა ბარბაროსულად დაბომბეს ხამჯუს მაზრის სოფელი უნბონლი (სამხრეთ ხანგენის პროვინცია) და ხვანჯუს მაზრის სოფელი სანგაპხორი (ხვანხეს პროვინცია). დაბომბვის შედეგად მოკლულია ბევრი მშვიდობიანი მცხოვრები და დანგრეულია რამდენიმე ათეული საცხოვრებელი სახლი.

დღეს სახალხო არმიის საზენიტო ნაწილებმა ჩამოაგდეს მოწინააღმდეგის ოთხი და დაახიანეს ორი თვითმფრინავი.

ღისინმანელთა ხროვის პროვოკაციული მოქმედების გამო

ნიუ-იორკი, 3 ივლისი. (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი აიროდან იუწყება, ეგვიპტის ეროვნული ხელმძღვანელობის მინისტრმა სალაჰ სალემმა 3 ივლისს განაცხადა, რომ „არავითარი პერსპექტივა არ არის განახლდეს ინგლის-ეგვიპტის მოლაპარაკება სუეცის არხის ზონაში ბაზის მომავალი ბედის შესახებ, სანამ ინგლისი არ ცნობს და არ დაადასტურებს ეგვიპტის სრულ სუვერენიტეტს ამ ბაზაზე“.

დე გასპერის მიენდო ახალი მთავრობის შედგენა

რომი, 3 ივლისი. (საკდესი). ანსის სააგენტო იუწყება: რესპუბლიკის პრეზიდენტის კანცელარიამ ოფიციალურად გამოაქვეყნა ცნობა, რომ დღეს დილით სახელმწიფოს მეთაურმა ეინაუდიმ დე გასპერის მიანდო შეადგინოს ახალი მთავრობა.

ხუთი ლეიბორისტის რეზოლუცია თემთა პალატაში

ლონდონი, 2 ივლისი. (საკდესი). რეიტერის სააგენტოს ცნობით, ხუთმა ლეიბორისტმა — ლეიბორისტული პარტიის ეროვნული აღმასკომის წევრებმა ჰაროლდ ვილსონმა, რიჩარდ კროსმენმა, ტომას დრაიბერგმა, ბარბარა კასლმა და იან მიკარდომ 1 ივლისს თემთა პალატაში შეიტანეს რეზოლუცია, რომელიც მოითხოვს, რომ „მთავრობამ არ დაუშვას ხანგრძლივი გადადება კონფერენციისა“ დასავლეთის სახელმწიფოთა და სსრ კავშირის ხელმძღვანელებს შორის.

პანამაში მოითხოვენ ამერიკის შეერთებულ შტატებთან ხელშეკრულების გაძასინჯვას

ნიუ-იორკი, 3 ივლისი. (საკდესი). პანამიდან მიღებული ცნობები მოწმობენ, რომ იქ ყველგან მოითხოვენ გადასინჯულ იქნას 1903 წლის ხელშეკრულება პანამასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის პანამის არხის ზონის შესახებ. კომენტარების მეტ ნაწილში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ შეერთებული შტატები უდიდეს მოგებას იღებენ არხის გამოყენებით პანამის ეროვნული ინტერესების საზიანოდ.

როგორც გაზეთი „პანამა ტრიბუნი“ სარედაქციო სტატიაში აცხადებს, პანამის მოსახლეობის ყველა ფენა მთლიანად ეთანხმება იმას, რომ საჭიროა გადაისინჯოს ხელშეკრულება. ამტკიცებს რა, რომ პანამას არა აქვს საკმაო სარგებლობა არხისაგან, გაზეთი უჩივის აგრეთვე იმას, რომ შეერთებული შტატები განაგებენ არხის ზონას ისე, თითქოს მათ „სუვერენული უფლებები ჰქონდეთ ამ ტერიტორიაზე“.

ქალაქ პანამაში ყველაზე გავრცელებულმა გაზეთმა „სტარ ენდ ჰერალდმა“ მოათავსა მთელი რიგი სარედაქციო სტატიები, რომლებშიც გმობს შეერთებული შტატების ცალმხრივ მოქმედებას პანამის არხის მიმართ.

სპორტის ამბები

ა. ბლაგიძე — საქართველოს ჩემპიონი ჭადრაკში

გუშინ ამიერკავკასიის რკინიგზის მხატვრული აღზრდისა და ტექნიკური პროპაგანდის სახლში დამთავრდა ოსტატობის კანდიდატების ა. ბლაგიძისა და ა. ბუსლაევის გადამწყვეტი შეჯიბრება საქართველოს 1953 წლის ჩემპიონის გამოსავლინებლად ჭადრაკში.

ა. ბლაგიძე.

* * *

უკანასკნელი, მეექვსე პარტიის წინ შეხვედრის ანგარიში იყო 3:2 ა. ბლაგიძის სასარგებლოდ. 4 ივლისს მოწინააღმდეგეებმა გათამაშეს სლავური დაცვა. შუა თამაშში ა. ბუსლაევმა ცენტრში პაიკით გაკეთა არაზუსტი სვლა. ა. ბლაგიძე თეთრებით ოსტატურად იბრძოდა. მალე მან ხელთ იგდო ინიციატივა, მოიგო ორი პაიკი, შემდეგ ძლიერი იერიში მიიტანა მოწინააღმდეგის მეფის ფლანგზე და 35-ე სვლაზე აიძულა ა. ბუსლაევი დაეთმო პარტია.

ამრიგად, ოსტატობის კანდიდატმა ა. ბლაგიძემ ექვს გადამწყვეტ პარტიაში ა. ბუსლაევთან მოიგო სამი, ყაიმით დაამთავრა 2 და წააგო ერთი პარტია. შეჯიბრების საბოლოო შედეგია 4:2 ა. ბლაგიძის სასარგებლოდ.

ამ გამარჯვებით ოსტატობის კანდიდატს ა. ბლაგიძეს მიენიჭა საქართველოს 1953 წლის ჩემპიონის წოდება ჭადრაკში.

ფეხბურთი

სსრ კავშირის პირველობა

„ა“ კლასი

4 ივლისი. მოსკოვის „დინამოს“ ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა მორიგი ასპარეზობა ფეხბურთში ჩვენი ქვეყნის 1953 წლის პირველობაზე. თამაშობდნენ გასული წლის ჩემპიონი დედაქალაქის „სპარტაკი“ და სსრ კავშირის თასის მფლობელი მოსკოვის „ტორპედო“. შეჯიბრება დამთავრდა სპარტაკელთა მორიგი გამარჯვებით ანგარიშით 7:1.

სსრ კავშირის თასის გათამაშება

მალე დამთავრდება რაიონული, საქალაქო, საოლქო, სამხარეო და ავტონომიური რესპუბლიკების თასის გათამაშება ფეხბურთში. გამოვლინდება უძლიერესი გუნდები, რომლებიც ივლისის პირველი რიცხვებიდან მონაწილეობას მიიღებენ რესპუბლიკურ ასპარეზობაში.

საერთო ინტერესს იწვევს სსრ კავშირის თასის გათამაშების დასკვნითი ეტაპი. ეს შეჯიბრება დაიწყება 1 სექტემბრიდან. მასში მონაწილეობას მიიღებენ მოსკოვისა და ლენინგრადის, აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკების თასის გათამაშებაში გამარჯვებული ფეხბურთელთა კოლექტივები და ოსტატთა გუნდები.

„ა“ კლასის ოსტატ ფეხბურთელთა კოლექტივები გარდამავალი ჯილდოს მოსაპოვებლად გამართულ ბრძოლაში ჩაებმებიან მერვედფინალიდან. ფინალურ ასპარეზობაში გამარჯვებულ გუნდს გადაეცემა გარდამავალი პრიზი — სსრ კავშირის თასი.

რამდენიმე სტრიქონით

⊙ **ქარელის რაიონის სოფელ ძლევისჯვრის** ქდანოვის სახელობის კოლმეურნეობაში უახლოეს დღეებში დამთავრდება საკოლმეურნეო კანტორის მშენებლობა. შენობაში მოთავსდება ბუხჰალტერია, გამგეობის კანტორა და დარბაზი კრებებისა და ლექციებ-მოხსენებებისათვის.

⊙ **ქუთაისის მაუდის ფაბრიკასთან** ჩამოყალიბდა რუსული მომღერალთა გუნდი, რომელშიც მონაწილეობას ღებულ 25 მუშა-ქალი. გუნდმა ადგილობრივ კლუბში გამართა პირველი საჩვენებელი კონცერტი, რამაც მაყურებლებში დიდი მოწონება დაიმსახურა.

თბილისი

ქალაქის ქრონიკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

გროლი

საუკეთესოა რუსული ბროლი. მოსახლეობის შეძლებულობისა და მხატვრული გემოვნების მკვეთრ ამაღლებასთან ერთად დიდად გაიზარდა მოთხოვნილება სხვადასხვა სახის ბროლის ძვირფას ჭურჭელზე.

თბილისში ბროლის ჭურჭელს ჰყიდის სპეციალური მაღაზია რუსთაველის პროსპექტზე. ამ მაღაზიას ბრლილით ამარაგებენ სსრ კავშირის მსუბუქი და კვების მრეწველობის სამინისტროს გუს-ხრუსტალნის, დიატკოვის და სხვა ბროლის ქარხნები. მაღაზიას ყოველთვის აქვს ბროლის გათლილი, გრავირებული, ალმასისებრ, დაკუთხვილი და სხვა თეთრი და ფერადი ძვირფასი ბროლის ჭურჭელი — ყვავილს, ხილისა და მურაბის ვაზები, მურაბის ლამბაქები, სხვადასხვანაირი ტოლჩები, საშაქრეები, ღვინის, ლიქიორის და შამპანურის დაბალი და ფეხიანი ჭიქები, საკარაქეები, საფერფლეები და სხვ. მაღაზიაში იყიდება აგრეთვე ბროლის სხვადასხვა ზომის და მოყვანილობის ღილები, ტუალეტის მოწყობილობა. აქ 6 თვეში მიიღეს 23 ვაგონი ბროლის ჭურჭელი, წლის ბოლომდე კიდევ მიიღებენ 20 ვაგონს.

ამ დღეებში მაღაზია მოელის სხვადასხვა სახის ძვირფას ბროლის ჭურჭელს.

მაღაზია ყოველდღიურად ჰყიდის 17-20 ათასი მანეთის ჭურჭელს. მეორე კვარტალში გაიყიდა 915 ათასი მანეთის ბროლი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 600.000 მანეთისა. ნახევარი წლის გეგმა მაღაზიამ 159 პროცენტით შეასრულა.

სურათზე: ბროლის მაღაზიაში.

საბჭოთა კომედიური კინოსურათების ფესტივალი

3 ივლისიდან ოფიცერთა სახლის კინოდარბაზში მიმდინარეობს საბჭოთა კომედიური კინოსურათების ფესტივალი. აჩვენებენ სურათებს „ქეთო და კოტე“, „ქალაქში ალიჩქარის პაემანზე“, „გაზაფხული მოსკოვში“, „შორეული სპეტაკლი“, „მეკარე“, „ოთხთა გული“, „ტოროლები გალობენ“.

კინოსურათებს დიდძალი ხალხი ესწრება.

ღისის ფბაზე

ზაფხულის ცხელ დღეებში ღისის ტბა თბილისელთა ერთ-ერთი საყვარელი დასასვენებელი ადგილია. კვირადღეს მრავალი მშრომელი ოჯახებით ან კოლექტიურად მიდის იქ დასასვენებლად და გასართობად. მათ განკარგულებაშია ტბის ნაპირზე გაშენებული ბაღი, ნავები ტბაზე სასეირნოდ, კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები. ბაღში უკრავს სასულე ორკესტრი.

დღეს აქ ისვენებენ „ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს მუშა-მოსამსახურეები, ავტომეკეთილი ქარხნის, ასფალტ-ბეტონის ქარხნის მუშები, აგრეთვე თბილისის საბავშვო გამაჯანსაღებელი მოედნების პიონერები.

დღეს დედაქალაქის პარკებში

სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში (ფუნიკულერის პლატო) დღეს ეწყობა დიდი სახალხო სეირნობა. საზაფხულო ესტრადაზე თბილისის ლ. პ. ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის კლუბთან არსებული ქართული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის მონაწილეობით გაიმართება კონცერტი.

პარკში მოეწყობა ბავშვთა გართობა-თამაშობანი, მასობრივი ცეკვა, სხვადასხვა ატრაქციონები, დაუკრავს სასულე ორკესტრი.

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის ბაღში გაიმართება საბავშვო დილა. საღამოს საზაფხულო ესტრადაზე შედგება უკრაინისა და საქართველოს კომპოზიტორების შემოქმედებითი შეხვედრა. კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ უკრაინის სსრ სახელმწიფო დამსახურებული აკადემიური კაპელა „დუმკა“ (მხატვრული ხელმძღვანელი უკრაინის სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ა. სოროკა) და საქართველოს სახელმწიფო კაპელა (ხელმძღვანელი სტალინური პრემიის ლაურეატი, კომპოზიტორი ო. თაქთაქიშვილი).

ოფიცერთა პარკში დღეს მოეწყობა ბალკარნავალი, დიდი სეირნობა; გაიმართება სომხეთის ფილარმონიის სოლისტის არევ ბაღდასარიანის გამოსათხოვარი კონცერტი.

მსაობრივი გართობანი მოეწყობა აგრეთვე თბილისის ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკში, გორკის სახელობის პარკში და დედაქალაქის სხვა პარკებში.

საუკეთესო სასეირნო და დასასვენებელი ადგილებია კომკავშირის ხეივანი, თბილისის ბოტანიკური ბაღი, ვაკის პარკი, კიროვის სახელობის პარკი. საზაფხულო კინოთეატრებში ნაჩვენები იქნება ახალი მხატვრული ფილმები.

ექსკურსანტთა 30 ჯგუფი

დღეს თბილისის საექსკურსიო ბაზა გორის, სამგორის, საგურამოს, მცხეთის, რუსთავის და სხვა მიმართულებით თბილისიდან გაიყვანს ექსკურსანტთა 30 ჯგუფს. ექსკურსანტთა ოთხი ჯგუფი, რომელთა შემადგენლობაში არიან მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, ტაშკენტიდან, იაროსლავლიდან, გორკიდან, ოდესიდან, ივანოვოდან, კიევიდან, ყაზანიდან ჩამოსული მშრომელები, დათვალიერებს თბილისის ღირსშესანიშნაობებს. ექსკურსანტთა სხვა ჯგუფები წავლენ გორში, რუსთავში სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის დასათვალიერებლად, მცხეთაში ისტორიული ძეგლების სანახავად, საგურამოში ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის დასათვალიერებლად.

ამ დღეს თბილისის „ზოვლის“ მიმართულებით დილის 11 საათიდან საღამოს 8 საათამდე იმუშავებს კომფორტაბელური ავტობუსები, რომელთა საწყისი გაჩერებაა კინოთეატრ „ისანის“ მახლობლად.

რედაქტორი დ. მჭედლიშვილი.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს თბილისის კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებელი აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1953-54 სასწავლო წლისათვის.

სასწავლებელს აქვს ორი განყოფილება: 1. საკლუბო — ამზადებს კულტურის სახლების, კლუბების, სამკითხველოებისა და კულტურისა და დასვენების პარკების ხელმძღვანელებსა და მუშაკებს. 2. საბიბლიოთეკო—ამზადებს საბიბლიოთეკო დაწესებულებათა გამგეებს და ბიბლიოთეკარებს.

სასწავლებელი იძლევა სამუალო განათლებას და უმაღლეს სასწავლებელში შესვლის უფლებას. სწავლის ხანგრძლივობა 3 წელია.

სასწავლებელში მიიღებიან მოქალაქენი 14-დან 30 წლის ასაკამდე, პირველ კურსზე მიიღებიან ის პირები, რომლებსაც დამთავრებული აქვთ 8-წლიანი სკოლა.

უგამოცდოდ ჩაირიცხებიან ის პირები, რომლებსაც 1952 და 1953 წლებში დამთავრებული აქვთ 8-წლიანი სკოლა ფრიადზე, დანარჩენები აბარებენ გამოცდას 8 კლასის პროგრამის მოცულობით შემდეგ საგნებში: 1. სსრ კავშირის კონსტიტუცია, 2. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა, ზეპირი), 3. რუსული ენა და ლიტერატურა (წერა, ზეპირი), 4. მათემატიკა (წერა, ზეპირი).

საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთათვის იხსნება ცალკე ჯგუფები (საბიბლიოთეკო და საკლუბო განხრით) ერთნაირი წლის სწავლების ვადით. ამ ჯგუფებში უგამოცდოდ მიიღებიან რაისაბჭოს აღმასკომის კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის განყოფილებიდან მოვლინებით ის პირები, რომლებმაც საშუალო სკოლა დაამთავრეს 1952 და 1953 წლებში, ხოლო 1952 წლამდე საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები გამოცდებს აბარებენ საშუალო სპეციალური სასწავლებლების პროგრამის ფარგლებში შემდეგ საგნებში: 1. სსრ კავშირის ხალხთა ისტორია (ზეპირი), 2. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა, ზეპირი), 3. რუსული ენა და ლიტერატურა (წერა, ზეპირი), 4. მათემატიკა (წერა, ზეპირი) უმაღლესი მათემატიკის ელემენტების გამოკლებით.

8-წლიანი სკოლის კურსდამთავრებული ფრიადოსნები და ის პირები, რომლებიც პირველ კურსზე მისაღებ გამოცდებს ჩააბარებენ „4“ და „5“ ნიშნებით უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით, ხოლო იმ მოსწავლეებს, რომლებსაც არა აქვთ ბინა, სასწავლებელი ნაწილობრივ აუნაზღაურებს მის ქირას.

განცხადება მიიღება დირექტორის სახელზე პირადად ან ფოსტით.

განცხადებას თან უნდა დაერთოს: 1. მოწმობა განათლების შესახებ (დედანი), 2. ავტობიოგრაფია (შემომსვლელის ხელით დაწერილი), 3. დაბადების მოწმობა (ნოტარიალური წესით დამოწმებული ასლი), 4. სამი ფოტოსურათი, 5. სამხედროვალდებულნი სამხედრო ბილეთს ან მისაწერ მოწმობას წარმოადგენენ პირადად, 6. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (სამკურნალო დაწესებულებიდან გაცემული), 7. ცნობა საცხოვრებელი ადგილის შესახებ და 8. ცნობა მივლინების შესახებ.

განცხადებები მიიღება 1 აგვისტომდე. მისაღები გამოცდები იწარმოებს 15 აგვისტოდან. სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს.

განცხადებები მიიღება და ცნობები გაიცემა ყოველდღე, გარდა გამოსასვლელი დღეებისა, საღამოს 6 საათიდან 10 საათამდე.

მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 45, ტელ. 3-02-64.

ოპერისა და ბალეტის თეატრი

5 ივლისს	დღის 12 საათზე ლ. დელიბი — ლაკმე საღამოს დ. თორაძე — გორდა
7 ივლისს	ჯ. ვერდი — რიგოლეტო

დასაწყისი საღამოს 8 ს. და 30 წ.

მოქალაქე **კარლო კონსტანტინეს-ძე მებადურმა**, მცხოვრებმა ხეთაგუროვის ქ. № 48, აღძრა სარჩელი მარჯანიშვილის ქ. № 48 მცხოვრებ მოქალაქე **სოფიო ლევანის ასულ მებადურთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის მოლოტოვის რაიონის I უბნის სახალხო სასამართლო.

დისწულები ერასტი, მარო, ვენერა, რძალი ეთერ კირვალიძეები იუწყებიან **ბაბილინა მეთოდეს ასულ გოგლიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 5, 6-VII, 8 ს. გამოსვენება 7-VII, 5 ს. ჩიტაძის ქ. № 10.

მეუღლე თამარ, შვილები ვალერიან, კარლო, ნელი, რძალი თინა, შვილიშვილი ბუთხუზ ჯოჯუები, სიდედრი მაკრინე ბალათურია იუწყებიან **ალექსანდრე ივანეს-ძე ჯოჯუას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 9-VII, ქ. ცხაკაიაში.

მეუღლე ვარლამ, შვილები ქეთო, ლიზა, ალიოშა, გიორგი, ძმა სანა აბულაძე, მაზლი აკაკი ოჯახებით იუწყებიან **პასიკო ივანეს ასულ იაშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 7-VII ქუთაისში, გელათის ქ. № 13.

რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14 ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეებისა — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი—3-06-88, ტელეფონები განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 3-81-84, მარჯხისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-57-61, მრეწველობისა და ტრანსპორტის და სოფლის მეურნეობის 3-20-43, კულტურისა და ყოფაცხოვრების და საქმეთა მმართველობის—3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, უცხოეთის ინფორმაციისა და კორესპონდენტთა ქსელის — 3-80-83, ადგილობრივი ინფორმაციის — 3-16-90, წერილებისა — 3-73-24, განცხადებების — 3-51-81, გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობის დირექტორის — 3-65-41, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

უე 04334

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“.